186
1990

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.650

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1990 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

150. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში დამატების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

151. ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმდგენელთა არენდულ-აქციონერული ასოციაციის „უტას“ წესდების შესახებ.

152. ქ. თბილისში თურქეთის ფირმა „კოქსალ ინშაათის“ წარმომადგენლობის შექმნის შესახებ.

153. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 11 მაისის № 460 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

154. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ივლისის № 449 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

155. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრისათვის ი. ს. გოგებაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

156. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისათვის შ. ი. ამირანაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

157. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისათვის მ. ა. ბალანჩივაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

158. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ახალგაზრდობის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრად გარდაქმნის შესახებ.

159. კოლხეთის სატყეო მეურნეობის ბაზაზე ფოთისა და ხობის სატყეო მეურნეობის შექმნის შესახებ.

160. „სსრ კავშირის კანონმდებლობის გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე.

161. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ა. ბენაშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

162. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს მ. მირიანაშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

163. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გ. ხუციშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

164. ფირმა „ნთმ“-ის დებულების რეგისტრაციის შესახებ.

165. საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

166. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

167. საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

168. სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

169. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

170. საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ.

171. საქართველოს საქველმოქმედო ასოციაციის „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

172. საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

173. საქართველოს ასოციაცია „ჩამომსხმელის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

174. ქალაქ თბილისში ბულგარეთის ფირმა „კომექსის“ წარმომადგენლობის შექმნის შესახებ.

175. საქართველოს სსრ იმ მდინარეებზე, სადაც გავრცელებულია ორაგულისებრი და თართისებრი თევზი, აკრძალული ზოლების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ივნისის № 500 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

176. ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნისა და მისთვის უ. ვ. ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

150 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში დამატების შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლი 2 სექტემბრის № 577 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ პუნქტი:

„დ) რომლებსაც მიენიჭათ „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება“.

ამასთან დაკავშირებით „დ“ პუნქტი ჩაითვალოს „ე“ პუნქტად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**	საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირთა კონფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ჯიჭურიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 8 ივნისი, № 397

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

151 ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმდგენელთა არენდულ-აქციონერული ასოციაციის — „უტას“ წესდების შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმდგენელთა არენდულ-აქციონერული ასოციაციის „უტას“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 ივლისის № 363
დადგენილებით

ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმდგენელთა არენდულ-აქციონერული ასოციაციის — „უტას“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმდგენელთა არენდულ-აქციონერული ასოციაცია „უტა“ (შემდგომში „ასოციაცია“) დაფუძნებულია მასში მონაწილე ორი საარენდო ორგანიზაციის „რესტავრატორისა“ და „ჩუქურთმის“ გაერთიანების საფუძველზე. მათს ბაზაზე შემდგომში შეგასაწარმოო არენდის ფორმით ყალიბდება:

„რესტავრატორი I“ — შენობათა ფასადების რესტავრაცია;
„რესტავრატორი II“ — შენობათა ინტერიერების რესტავრაცია;
„დიზაინერი“;
„ინტერიერი“
„ინჟინერი“ — სპეციალური სამშენებლო სამუშაოები
„მშენებელი“ — სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები
„მჭედელი“
„ქართული ფაიფური“
„ოპიზარი“ — ჭედური-ჭაღების, შეკიდული ჭერების დამზადება
„საჭრეთელი“ — ხის დამუშავება (მათ შორის მხატვრული)
„ჩუქურთმა“ — ქვის მხატვრული დამუშავება
„ხალიბი“ — ლითონების ჩამოსხმა
„მომმარაგებელი“
„ხუროთმოძღვარი“ — საპროექტო სამუშაოების შესრულება
„თბილისის აგრონომი“ — დამხმარე სოფლის მეურნეობა
მაღაზია-სალონი „კომერსანტი“
სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ლაბორატორია „ძველი თბილისი“ — კატალოგების, ალბომებისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება.

2. ასოციაციის შექმნისა და საქმიანობის პროფილის განსაზღვრის საკითხი განხილული და დამტკიცებულია ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე.

II. ასოციაციის მიზანი და ამოცანები

3. ასოციაციის მიზანია:

ა) სოციალურ-კულტურული დანიშნულებისა და საცხოვრებელ შენობა-ნაგებობათა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) ძველი, შივიწყებული ეროვნული სპეციალობების (ჭედურ ნაკეთობათა დამზადება, ხისა და ქვის მხატვრული დამუშავება, შეთუნეობა და სხვა) აღდგენა. ამ მიზნით ახალი კადრების მომზადება და ამ საშუალებით განახლებული ეროვნული წარმოების შექმნა;

გ) ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება ხუროთმოძღვრების ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ უცხოურ ფირმებთან;

დ) ქართული სავაჭრო-კულტურული ცენტრების მშენებლობა საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ და მათი ექსპლუატაცია;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური და სარეკლამო-კომერციული მომსახურება, ნაბეჭდი კინო და ტელე პროდუქციის გამოშვება დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სასტუმრო მეურნეობათა ჩამოყალიბება, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტების შექმნა სახალხო მოხმარების საგნების სარეალიზაციოდ და მოსახლეობის მომსახურებისათვის;

ზ) ასოციაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო პროდუქციის წარმოება, მასალების გადამუშავება და სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადება;

თ) სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მისი რეალიზაცია ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

4. საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, ასოციაციის ძირითადი ამოცანაა:

ა) ხელშეკრულებათა და კონტრაქტების საფუძველზე უზრუნველყოს საწარმოები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მომსახურებითა და სახალხო მოხმარების საგნებით;

ბ) აწარმოოს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების კვლევა, მათი საუკეთესო ეროვნული თავისებურებების გამოსავლენად და პროპაგანდის გასაწევად;

გ) განახორციელოს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები დადებულ ხელშეკრულებათა და კონტრაქტების შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს აქტიური საინფორმაციო და სარეკლამო სამუშაოთა შესრულება;

ე) უზრუნველყოს ასოციაციის ინტერესების სამართლებრივი დაცვა.

5. ასოციაციის ძეგლთა აღდგენის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან და საქართველოს არქეოლოგიურ ცენტრთან შეთანხმებით, ხუროთმოძღვრების ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის პროექტებს, სათანადო სამსახურში ექსპერტიზის გავლის შემდეგ, უთანხმებს სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს, შესრულებულ სამუშაოს აბარებს ამ სამმართველოს წარმომადგენელთან ერთად.

6. ასოციაცია მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, არსებული კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

III. ასოციაციის უფლება-მოვალეობანი

7. ასოციაცია უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს საქმიანი შეთანხმებანი, სხვა იურიდიული აქტები და ხელშეკრულებანი, მათ შორის საკრედიტო სათამასუქო, სსრ კავშირში და საზღვარგარეთ საბჭოთა და უცხოელ ორგანიზაციებთან, ფირმებთან და ცერძო პირებთან, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოსა და არბიტრაჟში;

ბ) თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ააშენოს, შეიძინოს, გასცეს და აიღოს არენდით დამზმარე წარმოება, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, შეიძინოს ნედლეული (მასალები) და სხვა მატერიალური ფასეულობანი, მიიღოს და გასცეს სესხი (როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ), ასევე აწარმოოს ყველა სახის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები კანონმდებლობის ფარგლებში;

გ) თავისი საქმიანობის განსახორციელებლად შექმნას განყოფილებანი და ფილიალები, შერეული და აქციონერული საზოგადოებანი ერთობლივი საწარმოები, კომერციული ბანკები, კონსორციუმები და სხვა ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება ასოციაციის ამოცანებს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა სახის ორგანიზაციების საქმიანობაში, განახორციელოს საქონელგაცვლის ოპერაციები და შეთანხმებანი, მოაწყოს აუქციონები, როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ;

დ) გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები როგორც საბჭოთა ფულით ისე ვალუტით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკის განყოფილებებში;

ე) შექმნას ფილიალები სსრ კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ფილიალები შეიძლება იყვნენ იურიდიული პირნი;

ასოციაციის საქმიანობა და უფლებები საზღვარგარეთთან ურთიერთობაში შეესაბამება დადგენილ წესს და მოქმედ კანონმდებლობას.

IV. ასოციაციის იურიდიული სტატუსი

8. ასოციაცია არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

9. ასოციაცია პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებებისათვის საკუთარი ქონებით.

10. ასოციაცია პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის, ასევე სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი ასოციაციის ვალდებულებისათვის.

11. ასოციაციას აქვს თავისი ბეჭედი, ბლანკი, სასაქონლო ნიშანი და ემბლემა.

12. ასოციაციის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

V. ასოციაციის საქველმოქმედო საქმიანობა

13. ასოციაციის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ფართო საქველმოქმედო საქმიანობა.

14. ასოციაცია საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით გასცემს ფულად და ნივთობრივ ჯილდოებს, დახმარებას, პენსიას, როგორც ერთჯერადს, ისე რეგულარულს, ამასთან საქველმოქმედო საქმიანობას ახორციელებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

15. ასოციაციას აქვს ორი სახის საქველმოქმედო ფონდი:

ა) პრეზიდენტის ფონდი, რომლის წლიურ ოდენობას აწესებს დამფუძნებელთა საბჭო;

ბ) დამფუძნებელთა საბჭოს ფონდი, რომლის მიმართულებასა და ოდენობას განსაზღვრავს საბჭო.

16. ასოციაციის საქველმოქმედო ფონდი ყალიბდება მისი წმინდა მოგების სახსრებიდან.

VI. ასოციაციის ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებანი

17. ასოციაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფორმირდება არენდით აღებული ქონებისაგან, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების შრომითი კოლექტივის აქციების რეალიზაციიდან მიღებული სახსრებისაგან.

18. ასოციაციის საწესდებო ფონდი შეიქმნა არენდატორების „რესტავრატორისა“ და „ჩუქურთმის“ საწესდებო ფონდების შერწყმის შედეგად, ამასთან შემოსავლების განაწილება იწარმოებს საწესდებო ფონდიდან წილობრივი შესატანების ოდენობის მიხედვით.

19. ასოციაციის მიერ არენდით აღებული ქონების ღირებულება, მისი საექსპლუატაციო პირობები, საარენდო ქირის სიდიდე, არენდის ვადა, აგრეთვე სახელმწიფო დაკვეთის მოცულობა და მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება არენდის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის შესაბამისად, არენდის გამცემსა და ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულებით.

20. ასოციაციას უფლება აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის აიღოს არენდით ქონება სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

21. საბრუნავი საშუალებების გაზრდისა და საფინანსო-სამეურნეო შედეგებისადმი შრომითი კოლექტივების დაინტერესებისათვის ასოციაცია უშვებს ფასიან ქაღალდებს — შრომითი კოლექტივის აქციებს, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს შრომითი კოლექტივის სტაბილურობას, შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

22. აქციისათვის გადასახდელი დივიდენდის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის აუთვისებელი ნაშთიდან არანაკლებ აქციის ნომინალური თანხის 5 პროცენტისა, რაც წარმოადგენს აქციაზე მისაღებ მინიმალურ გარანტირებულ დივიდენდს წლიურად.

23. შრომითი კოლექტივის აქციების რეალიზაციის, აქციონერთა უფლებებისა და დივიდენდების ოდენობის განსაზღვრის პირობებს არეგულირებს ძეგლების არენდულ-აქციონერული ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭო.

VII. ასოციაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

24. ასოციაციის წევრობა ოთხი სახისაა:

ა) დამფუძნებელი წევრი — პირი, რომლის ინიციატივითა და მონაწილეობით ჩამოყალიბდა ასოციაცია, რომელიც არის ძირითადი არენდატორი, ან მიიღებს ამ სტატუსს დამფუძნებელი საბჭოს გადაწყვეტილებით;

ბ) ნამდვილი წევრი — პირი, რომელიც აქტიურად იღვწის ასოციაციის მიზნების მისაღწევად, თანამშრომლობს ასოციაციაში;

გ) თავისუფალი წევრი — პირი, რომელიც თანაუგრძნობს ასოციაციის მიზნებსა და საქმიანობას;

დ) საპატიო წევრი — რომელსაც ღვაწლი მიუძღვის ასოციაციის წინაშე და ენიჭება ეს სტატუსი დამფუძნებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

25. ასოციაციის წევრად მიღება ხდება დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ასოციაციის რომელიმე წევრის რეკომენდაციით.

26. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის მოქალაქე.

27. ასოციაციის წევრი, რომელიც დაარღვევს ასოციაციის წესდებას, ხელშეკრულებას ან შელახავს მის ინტერესებსა და ღირსებას, დამფუძნებელთა საბჭოს შეუძლია გარიცხოს ასოციაციიდან.

28. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) აქტიურად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;

ბ) დააყენოს წინადადებანი, შენიშვნები ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით, დამფუძნებელთა საბჭოს წინაშე. აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი წინადადებების განხორციელებაში;

გ) გავიდეს სურვილისამებრ ასოციაციიდან.

დ) დამფუძნებელ წევრებს აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, ნამდვილ თავისუფალ და საპატიო წევრებს — სათათბირო ხმის უფლება.

29. ასოციაციის წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს წესდების მოთხოვნები, დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, უყოყმანოდ დაემორჩილოს ასოციაციის მმართველობის ორგანოებს;

ბ) მკაცრად დაიცვას ასოციაციის საიდუმლოებანი. არ დაუშვას კომერციულ-ტექნიკური ან სხვა ინფორმაციის გავრცელება ასოციაციის საქმიანობის შესახებ.

30. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მოქალაქე, იურიდიული პირი, ორგანიზაცია.

VIII. ასოციაციის მმართველობის ორგანოები, მათი უფლებამოსილებანი

31. ასოციაციის მმართველობის ორგანოებია:

ა) დამფუძნებელთა საბჭო;

ბ) დირექცია;

გ) სარევიზიო კომისია.

32. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა საბჭო, რომელიც შედგება მხოლოდ დამფუძნებელი წევრი ორგანიზაციების გენერალური და კომერციული დირექტორებისაგან, საბჭოს სათავეში უდგას პრეზიდენტი.

33. ასოციაციის პრეზიდენტს ირჩევს დამფუძნებელთა საბჭო საარენდო ვადით დამფუძნებელი წევრებისაგან.

34. ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება წელიწადში ორჯერ ან რამდენჯერმე პრეზიდენტის, გენერალური და კომერციული დირექტორების ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

35. ასოციაციის გენერალურ, კომერციულ დირექტორთა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნა-განთავისუფლება ხდება დამფუძნებელთა საბჭოს სხდომაზე.

36. დამფუძნებელთა საბჭო უფლებამოსილია ნება დართოს ასოციაციის დამფუძნებელ წევრსა და პრეზიდენტს შეითავსოს სხვა თანამდებობრივი განაკვეთი, როგორც ასოციაციაში, ისე სხვა ორგანიზაციაში.

37. დამფუძნებელთა საბჭო თავის სხდომას ატარებს მისი ყველა წევრის თანდასწრებით, რომელიმე წევრის დაუსწრებლობა, თუკი იგი წინასწარ იქნა გაფრთხილებული, არ არის ხელშემშლელი პირობა საბჭოს სხდომის ჩატარებისას. ამასთან საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი თუკი სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედისა (გამონაკლისს წარმოადგენენ განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც აუცილებელია საბჭოს ყველა წევრის დასწრება).

38. დამფუძნებელთა საბჭო წყვეტს ასოციაციის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს.

39. დამფუძნებელთა საბჭოს უდავო კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, მისი საქმიანობის პროგრამისა და შესრულების ანგარიშის დამტკიცება. ასოციაციის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცება, ხელმძღვანელი მუშაკებისა და ასოციაციის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და განთავისუფლება;

ბ) ასოციაციის საქმიანობიდან მიღებული მოგების განსაზღვრა და განაწილება;

გ) ფირმების, ფილიალებისა და სხვა დანაყოფების შექმნასთან და მათი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა საბჭოს მუშაობის განაწესის დამტკიცება, მივლინების ანგარიშის განხილვა;

დ) ასოციაციის დირექციისათვის პრემიების გაცემის საკითხების გადაწყვეტა, მასში მონაწილე ფირმებისა და დანაყოფების ასოციაციიდან გასვლასთან დაკავშრებით ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა;

ე) ასოციაციიდან გასულ მონაწილე ფირმებთან ანგარიშსწორების წესის განსაზღვრა;

ვ) ასოციაციაში ახალ მონაწილე ფირმების მიღების შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა;

ზ) ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხის განხილვა.

40. ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი ერთმმართველობის პრინციპით, ამ წესდებით, აგრეთვე დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული კომპეტენციისა და უფლებების ფარგლებში.

41. ასოციაციის გენერალური დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების შომზადებისა და შესრულების ორგანიზაციას და წარუდგენს ანგარიშს დამფუძნებელთა საბჭოს;

ბ) უზრუნველყოფს მუშაობის მიმდინარე და პრესპექტიული გეგმების შესრულებას;

გ) განკარგავს ასოციაციის ქონებას ფულადი სახსრების ჩათვლით, მმართველობის ორგანოების მიერ დაწესებულ ფარგლებში;

დ) განაგებს ასოციაციის პერსონალის მიღებისა და განთავისუფლების საკითხებს;

ე) წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ასოციაციის ინტერესებს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და ფირმებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ;

ვ) ამტკიცებს დებულებას შიდასაწარმოო ანგარიშისა და პრემირების შესახებ.

ამ დებულების საფუძველზე განსაზღვრავს პერსონალისათვის გასაცემი პრემიების ან სხვა სახის მატერიალური წახალისების კონკრეტულ ოდენობას, აგრეთვე მმართველობის ორგანოების ერთდროულ გადაწყვეტილებას პრემიების გაცემის შესახებ;

ზ) შეიმუშავებს და ნერგავს წარმოების ინტენსიფიკაციისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის პერსონალის მორალური და მატერიალური წახალისებისა და დასჯის სისტემას, წყვეტს პერსონალის სამსახურებრივი მივლინების საკითხებს, პასუხისმგებელია პირადად ასოციაციის საქმიანობის თაობაზე თავისდროული და უტყუარი ანგარიშებისათვის მმართველობის ორგანოებსა და სსრ კავშირის მაკონტროლებელ ორგანოებში;

თ) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მმართველობის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ფარგლებში.

42. ასოციაციის საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის იქმნება სარევიზიო კომისია თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით.

43. თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიის წევრებს ნიშნავს ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭო მისი ერთ-ერთი წევრის წინადადებით. სარევიზიო კომისიის რწმუნება განისაზღვრება საარენდო ხელშეკრულების განსაზღვრულ ვადით.

44. სარევიზიო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სარევიზიო კომისიის შესახებ ასოციაციის მმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

IX. საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებათა დადება ასოციაციის სახელით

45. ასოციაციის სახელით საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლება აქვთ პრეზიდენტს, გენერალურ დირექტორს, აგრეთვე პრეზიდენტის ან გენერალური დირექტორის რწმუნების მქონე პირებს.

X. ასოციაციის ფონდების შექმნა და მოგების განაწილება

46. ასოციაციის ფულადი შემოსავლები ფორმირდება შესრულებულ სამუშაოთა რეალიზაციის, სესხების დაბრუნების, ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები) გაყიდვის, აუქციონების მოწყობისა და სხვა ნებადართული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით.

47. ასოციაციის ფულადი შემოსავლები გამოიყენება:

ა) მატერიალური დანახარჯებისა და მასთან გათანაბრებული ხარჯების, მათ შორის, სოციალური დაზღვევის ანარიცხების დასაფარავად;

ბ) ხელფასის ერთიანი ფონდის შესაქმნელად, რომელიც დაიხარჯება ასოციაციის ნამდვილი წევრისა და პრეზიდენტის ხელფასის, აგრეთვე დამატებითი მასტიმულირებელი პრემიების გასაცემად. თითოეული წევრის ხელფასისა და პრემიების კონკრეტული სიდიდე საბჭოთა ფულითა და ვალუტით რეგულირდება ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) ასოციაციის ძირითადი გადასახადებისა და ბიუჯეტის გადასახდელების სიდიდე განისაზღვრება მასში შემავალ იურიდიულ წევრთათვის დამტკიცებული გადასახადებისა და გადასახდელების ჯამით;

დ) ასოციაციის საკუთარი შემოსავალი — წმინდა მოგება ფორმირდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც განაგებს დამფუძნებელთა საბჭო პრეზიდენტის ხელმძღვანელობით დადგენილი წესის მიხედვით.

48. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ასოციაციის წევრთა ხელფასის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ არის.

XI. ასოციაციის ლიკვიდაცია

49. ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით.

50. ასოციაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში:

ა) ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭო ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც უდგენს მას დასამტკიცებლად სალიკვიდაციო ბალანსს;

ბ) ასოციაციის არენდით აღებული ქონება უბრუნდება ყოფილ მესაკუთრეს ხელშეკრულების შესაბამისად სათანადო ანგარიშსწორებით;

გ) ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის ამონაგებიდან, კრედიტორთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხა განაწილდება ასოციაციის წევრთა შორის ამ ქონების შეძენაში თითოეულის წვლილის მიხედვით.

51. ეს წესდება შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს ასოციაციის დამფუძნებელ წევრებთან შეთანხმებით.

52. წესდებაში ცვლილებათა ან დამატებათა შეტანის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

152 **ქალაქ თბილისში თურქეთის ფირმა „კოქსალ ინშაათის“ წარმომადგენლობის შექმნის შესახებ**

საქართველოს სს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის პარტნიორული, საფინანსო-კომერციული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს თურქეთის ფირმა „კოქსალ ინშაათის“ ხელმძღვანელობისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თხოვნა და ნება დაერთოს ამ ფირმას შექმნას ქ. თბილისში მისი წარმომადგენლობა.

2. საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოახდინოს თურქეთის ფირმა „კოქსალ ინშაათის“ წარმომადგენლობის აკრედიტაცია და შეუქმნას მას ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო პირობა.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ თურქეთის ფირმა „კოქსალ ინშაათის“ წარმომადგენლობის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება თურქეთის მხრიდან თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. კაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 366

153 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 11 მაისის № 460 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სატარიფო შესატანების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 11 მაისის № 460 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 იანვრის № 81 დადგენილება „პროფესიული კავშირების მიხედვით სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანების ტარიფების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 23 იანვრის № 54 დადგენილების თაობაზე“.

„აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფესიული კავშირისა და თევზის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის მიხედვით სახელმწიფო

სოციალური დაზღვევის შესატანების ტარიფების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ივლისის № 838 დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 სექტემბრის № 609 დადგენილებით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 11 მაისის № 460 დადგენილებით:

— „მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 იანვრის № 5 დადგენილების პირველი პუნქტის მეშვიდე აბზაცში სიტყვები „1980 წლის 23 იანვრის № 54“ შეიცვალა სიტყვებით „1989 წლის 30 დეკემბრის № 1181“, დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 152 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 370

154 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ივლისის № 449 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლის მეურნეობაში შრომის ნატურალური ანაზღაურების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 1 ივნისის № 549 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ივლისის № 449 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის კუთვნილი ხელფასის ანგარიშში მარცვლის მიყიდვის ნორმებისა და წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 371

155 ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრისათვის ი. ს. გოგებაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და ქალაქის მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, მიეკუთვნოს ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრს დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 373

156 საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისათვის შ. ი. ამირანაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება და მიეკუთვნოს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს შალვა იასონის ძე ამირანაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 374

157 ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისათვის მ. ა. ბალანჩივაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და, ქალაქის მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, მიეკუთვნოს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძის სახელი.

19650

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 375

158 სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ახალგაზრდობის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1990 წლის 20 მარტის № 27 ბრძანების შესაბამისად გარდაიქმნას სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ახალგაზრდობის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრი საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის პროფორიენტაციის საქალაქო ცენტრად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1990 წლის 1 ივლისიდან წლის ბოლომდე ცენტრის დაფინანსება განხორციელდება საკავშირო ბიუჯეტიდან.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ცენტრის დაფინანსება გაითვალისწინოს 1991 წლის 1 იანვრიდან.

4. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანს-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი პროფორიენტაციის რესპუბლიკური სამსახურის შექმნის შესახებ საქართველოს სსრ დასაქმების კანონის მიღების შემდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 ივლისი, № 382

159 კოლხეთის სატყეო მეურნეობის ბაზაზე ფოთისა და ხობის სატყეო მეურნეობების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და ხობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომების წინადადებანი და ყოფილი კოლხეთის სატყეო მეურნეობის ბაზაზე შეიქმნას:

— ფოთის სატყეო მეურნეობა 4670 ჰექტარი საერთო ფართობით (ფოთის სატყეოს №№ 1-18, 22-24, 28-36 კვარტალები, საერთო ფართობი — 2322 ჰექტარი, ჭალადიდის სატყეოს №№ 26-44, 46 კვარტალები, საერთო ფართობი — 2348 ჰექტარი);

— ხობის სატყეო მეურნეობა 10465 ჰექტარი საერთო ფართობით (ჭალადიდის სატყეოს №№ 1-25, 45, 47, 48 კვარტალები, საერთო ფართობი — 2799 ჰექტარი, ხობის სატყეოს № 4-48 კვარტალები, საერთო ფართობი — 4445 ჰექტარი, ხეთის სატყეოს №№ 1-4, 8, 16-18, 23-47 კვარტალები, საერთო ფართობი — 3221 ჰექტარი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 25 ივლისი, № 385

160 „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღების უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში უკიდურესად დაიძაბა ოპერატიული ვითარება, გაუარესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობა.

გახშირდა იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით თავდასხმები მილიციის მუშაკებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებსა და სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე.

მოსახლეობაში დიდძალი იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ დაგროვება ქმნის მძიმე დანაშაულობათა ჩადენის პოტენციურ საშიშროებას, იწვევს მოქალაქეთა მსხვერპლს. ზოგიერთ რეგიონში ადგილი აქვს შეიარაღებულ ფორმირებათა თვითნებურად შექმნის ფაქტებს, ამ ფორმირებაში დამნაშავე ელემენტთა და სხვადასხვა საეჭვო პირთა გაერთიანებას.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ბევრი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის, შინაგან საქმეთა შესაბამისი განყოფილებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები იჩენენ უპასუხისმგებლობას, არ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დადგენილი წესით შენახვის უზრუნველსაყოფად. ასეთი ვითარება ხელს უწყობს მათი დატაცების პირობების შექმნას, ამძაფრებს დაძაბულობას, განაპირობებს სიტუაციის დესტაბილიზებას, საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ყოველივე ეს იწვევს საზოგადოებრიობის, შრომითი კოლექტივების, მთელი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებასა და შეშფოთებას, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ მდგომარეობის დაუყოვნებლივ ნორმალიზაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად:

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებანი (შეიარაღებული გაერთიანებები, რაზმები, რაზმეულები, ქვეგანაყოფები, ლეგიონები და სხვა შეიარაღებული ჯგუფები), რომლებიც გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობით, უკანონოა და უნდა დაიშალოს 15 დღის ვადაში პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან;

— ამავე ვადაში ამ ფორმირებათა, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა ხელთ უკანონოდ არსებული იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა სამხედრო ქონება უნდა ჩაბარდეს შინაგან საქმეთა ორგანოებს;

— ნებისმიერი ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა გადაწყვეტილებებსა და მოქმედებას, რომელთა მიზანია ადრე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების შენარჩუნება ან ახალთა შექმნა, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით, არა აქვს იურიდიული ძალა და იწვევს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად.

2. განსაზღვრულ ვადებში სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და მათმა შესაბამისმა რგოლებმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ამოღება.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა საქართველოს სსრ პროკურატურასთან ერთად საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ოპერატიულად გადაწყვიტონ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ პირთა მიცემის საკითხი, რომლებიც ნებაყოფლობით არ ჩააბარებენ იარაღს, ტყვია-წამალს და ასაფეთქებელ ნივთიერებებს, აგრეთვე იმ პირთა, რომელთაც ბრალი ედებათ იარაღის უკანონო ტარებაში, შენახვაში, შეძენაში, დამზადებაში ან გასაღებაში და ამ დანაშაულობათა დაფარვაში.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელონ მკაცრი კონტროლი იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი, რომელთაც აქვთ ან ამზადებენ (ან შეუძლიათ დაამზადონ) იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი. ორი კვირის ვადაში უზრუნველყონ ასეთი ტიპის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აღნიშნული ქონების ინვენტარიზაცია, ამასთან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ამ ობიექტების დადგენილი წესით დაცვის გაძლიერებისათვის.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების მოთხოვნებიდან და რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად დაუყოვნებლივ შეადგინონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა-გრაფიკი და დააწესონ კონტროლი მისი შესრულებისადმი;

— უზრუნველყონ საზოგადოებრივი ძალების მობილიზება მათ წინააღმდეგ, ვინც პროვოკაციულად იწვევს დაძაბულობას, ვითარების დესტაბილიზებას, უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, არ იცავს კანონის მოთხოვნებს და თავისი მოქმედებით საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს;

— მოსთხოვონ სამართალდამცველ ორგანოებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს განუხრელად განახორციელონ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული ღონისძიებანი მათ მიმართ, ვინც იჩენს უპასუხისმგებლობას, არ ემორჩილება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

— სრულად გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები, პერიოდულად მოისმინონ აღმასკომების სხდომებსა და საბჭოების სესიებზე შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსთა, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშები იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ სამართალდარღვევათა შემთხვევების აღსაკვეთად და კანონიერების დაცვის საქმეში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— განახორციელონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ამ მიზნით უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, სასწავლებელთა, სამინისტროთა და უწყებათა აპარატების თანამშრომლობის, ინტელიგენციის წარმომადგენლების მონაწილეობა სამართალდამცველი ორგანოების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა გატარებაში;

— რესპუბლიკის სამართლებრივ-მორალური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის მიმართულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებთან, გაერთიანებებთან და ჯგუფებთან პრაქტიკული თანამშრომლობის აქტიური ფორმები და საშუალებები.

6. რესპუბლიკაში დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, კანონიერების დაცვის, სახელმწიფო-სამართლებრივ ღონისძიებათა განხორციელების, აგრეთვე სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრებისათვის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. ა. გოგელია):

— აამაღლოს და გააძლიეროს სატელევიზიო და რადიოპროგრამების ოპერატიული მდგომარეობის ამსახველი საინფორმაციო გამოშვებების პროფესიული დონე, ქმედითობა, გაზარდოს მათი პერიოდულობა;

— შემოიღოს სპეციალური დეკადური ციკლი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, რესპუბლიკის პროკურორის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით;

— ტელევიზიისა და რადიოს სამართლისა და მორალის რედაქციების საშტატო ერთეულებით გაზრდის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების შესახებ წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— სამართლებრივი საკითხების ოპერატიული გაშუქებისათვის დააწესოს საქტელერადიოს პოლიტიკური მიმომხილველის შტატი;

— საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან (ამხ. ვ. კოშახიძე) და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამხ. ი. ანდრიაძე) ერთად განახორციელოს თბილისის საქალაქო რადიოქსელის ეფექტიანი გამოყენება მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირებისათვის, განსაკუთრებით პიკისა და საღამოს საათებში.

7. გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „ჰორურდაინ ვრასტანის“, „სოვეტ გურჯისტანის“, „რესპუბლიკის“, „ცხოვრება და კანონის“ ჟურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ რედაქციებმა, ავტონომიურ ფორმირებათა პრესის ორგანოებმა, მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა უზრუნველყონ ოპერატიული და ანალიტიკური მასალების სისტემატური პუბლიკაცია, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა გამოსვლები იმ ღონისძიებების გასაშუქებლად, რომლებსაც ახორციელებენ ისინი რესპუბლიკაში, რეგიონში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მართლწესრიგის დასამყარებლად, ამორალური, სისხლის სამართლის დანაშაულობათა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შესაბამისმა ტელერადიოკომიტეტებმა მათთვის დამტკიცებულ სამაუწყებლო პროგრამებში მუდმივად გაითვალისწინონ საინფორმაციო გამოშვებები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შექმნილი ოპერატიული სიტუაციის, სამართალდამცველი ორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ მოსახლეობის სისტემატური ინფორმირებისათვის.

9. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ (ამხ. ა. თავხელიძე), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (ამხ. შ. გორგოძე), საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან (ამხ. ვ. შარაშენიძე), საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან (ამხ. ა. კარანაძე), საქართველოს სსრ პროკურატურასთან (ამხ. ვ. რაზმაძე), საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (ამხ. ტ. ლორთქიფანიძე) ერთად ერთი თვის ვადაში დაამუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ერთობლივი საინფორმაციო კომპიუტერული სისტემის შექმნის შესახებ.

10. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კონტაქტების გაუმჯობესების, მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ამხ. შ. გორგოძე):

— გააძლიეროს სამინისტროს პრესცენტრი, 2 დღის ვადაში დააკომპლექტოს იგი საჭირო რაოდენობის საშტატო ერთეულებით, პროფესიონალი ჟურნალისტებითა და იურისტებით, უზრუნველყოს მისი ოპერატიული, მოქნილი და ეფექტიანი ფუნქციონირება, შექმნას პრესცენტრთან ტელე და რადიოჯგუფები, აღჭურვოს იგი თანამედროვე ვიდეო და რადიოაპარატურით, ტრანსპორტით;

— წინადადებანი საუწყებო გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ ტირაჟისა და პერიოდულობის გადიდების, მისი რუსული დუბლის გამოცემის, გაზეთის რედაქციისა და პრესცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-გაუმჯო-

ბესების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთი კვირის ვადაში.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მზადდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური ბიულეტენის გამოცემის საკითხი.

11. რესპუბლიკაში სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მართლწესრიგის დამყარების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ წარმოადგინოს წინადადება აღნიშნული განყოფილების დაკომპლექტების შესახებ.

12. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე ადგილებზე მუშაობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის რეგიონებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა მიმაგრება, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა უზრუნველყონ სამართალდამცველი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ქმედით ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკების შემუშავება და დააწესონ კონტროლი მათი განხორციელებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნეს მათი ინფორმაციები რეგიონებში მიმდინარე მუშაობის შესახებ.

13. „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის მიზნით და რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად შეიქმნას რესპუბლიკური შტაბი შემდეგი შემადგენლობით: ნ. ჭითანავა (შტაბის ხელმძღვანელი), ო. გონაძე, შ. გორგოძე, ტ. ლორთქიფანიძე, ვ. რაზმაძე, ვ. შარაშენიძე.

რესპუბლიკურმა შტაბმა განსაზღვროს თავისი საქმიანობის პრინციპები, უფლება-მოვალეობანი და რეგლამენტი.

შტაბის კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებანი, მითითებანი და დადგენილებანი სავალდებულოა რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებებისათვის.

14. პასუხისმგებლობა ამ დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროთ რესპუბლიკურ შტაბს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს.

15. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 28 ივლისი, № 387

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 28 ივლისის № 387
დადგენილების დანართი

„სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის რეგიონებზე მიმაგრებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრების

ს ი ა

რეგიონი	მიმაგრებული მუშაკები
ქ. თბილისი	
აფხაზეთის ზონა	
აფხაზეთის ასსრ	ამხ. ო. მელქაძე ამხ. ო. სულაძე ამხ. ვ. ჯინჯიხაძე
აჭარის ზონა	
აჭარის ასსრ	ამხ. გ. მგელაძე
ოზურგეთის რაიონი	ამხ. ლ. ზაქაიძე
ლანჩხუთის რაიონი	ამხ. ნ. ნეფეედოვი
ჩოხატაურის რაიონი	
შიდა ქართლის ზონა	
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	ამხ. ო. ქვილითაია ამხ. ვ. კაჭარავა ამხ. მ. მეგრელიშვილი
ქ. გორი	
გორის რაიონი	
ქარელის რაიონი	
კასპის რაიონი	
ხაშურის რაიონი	
მცხეთის რაიონი	
დუშეთის რაიონი	
თიანეთის რაიონი	
ყაზბეგის რაიონი	
ქუთაისის ზონა	ამხ. დ. დვალიშვილი ამხ. ვ. ასათიანი ამხ. ბ. სარალიძე
ქ. ქუთაისი	
ქ. წყალტუბოს ზონა	
ზესტაფონის რაიონი	
სამტრედიის რაიონი	
ბაღდათის რაიონი	
ხონის რაიონი	
ვანის რაიონი	
ფოთის ზონა	
ქ. ფოთი	ამხ. ვ. ალავიძე ამხ. რ. ბასარია ამხ. ლ. ღურწკაია
ქ. ზუგდიდი	
ზუგდიდის რაიონი	
სენაკის რაიონი	
აბაშის რაიონი	
წალენჯიხის რაიონი	

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი	მიმაგრებული მუშაკები
ჩხოროწყუს რაიონი მარტვილის რაიონი ხობის რაიონი	
იმერეთის ზონა	
ქ. ჭიათურა ქ. ტყიბული საჩხერის რაიონი ხარაგაულის რაიონი ცაგერის რაიონი ლენტეხის რაიონი მესტიის რაიონი ონის რაიონი ამბროლაურის რაიონი თერჯოლის რაიონი	ამხ. ყ. შარტავა ამხ. ნ. ენდელაძე ამხ. რ. ღლონტი
კახეთის ზონა	ამხ. ბ. მახარაშვილი ამხ. ვ. კობახიძე ამხ. ი. მენაღარიშვილი
საგარეჯოს რაიონი გურჯაანის რაიონი თელავის რაიონი ახმეტის რაიონი სიღნაღის რაიონი წითელწყაროს რაიონი ყვარლის რაიონი ლაგოდეხის რაიონი	
ქვემო ქართლის ზონა	ამხ. ო. ვარძელაშვილი ამხ. ვ. შარაშენიძე ამხ. გ. ჯავახიშვილი
ქ. რუსთავი გარდაბნის რაიონი მარნეულის რაიონი ბოლნისის რაიონი დმანისის რაიონი თეთრი წყაროს რაიონი	
სამხრეთ საქართველოს ზონა	ამხ. ზ. ლაბახუა ამხ. ბ. ლობჟანიძე ამხ. შ. ჭალაგანიძე
ბორჯომის რაიონი ახალციხის რაიონი ახალქალაქის რაიონი ასპინძის რაიონი ბოგდანოვკის რაიონი ადიგენის რაიონი წალკის რაიონი	

ზონების მიხედვით ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

161 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ა. ბენაშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კარტოგრაფიის სპეციალიზაციის წარჩინებული სტუდენტებისათვის გამოჩენილი ქართველი კარტოგრაფიის, პროფესორ ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 401

162 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს მ. მირიანაშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მათე მიხეილის ძე მირიანაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 402

ეროვნული ბიბლიოთეკა

163 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ბ. ხუციშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გივი რაჟდენის ძე ხუციშვილის სახელობის ერთი სტიპენდია უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 403

164 ფირმა „ნთმ“-ის დებულების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს მრავალდარგობრივი დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი სამეცნიერო-საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ-საწარმოო-დამნერგავი ფირმა „ნთმ“-ის დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 418

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 418
დადგენილებით

ფირმა „ნთმ"-ის დებულება

I. ზოგადი დებულებანი

1. ფირმა „ნთმ" (შემდგომში „ფირმა") არის მრავალდარგობრივი სამეურნეოანგარიშიანი სამეცნიერო-საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ-საწარმოო-დამნერგავი ორგანიზაცია, რომლის მიზანია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული, სამრეწველო და სამეცნიერო, შერეული და ერთობლივი საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების, აგრეთვე ინდივიდუალური შრომით დასაქმებული პირების დაკვეთით:

ა) შეიმუშაოს ახალი, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია (ახალი ტექნიკა) და ტექნოლოგიები:

ბ) მოახდინოს ნაკეთობებისა და ტექნოლოგიების ძირეული მოდერნიზაცია:

გ) გამოავლინოს და მოსპოს წარმოებაში არსებული „ვიწრო ადგილები", მაქსიმალურად აამოქმედოს შიდასაწარმოო რესურსები:

დ) მოამზადოს სპეციალისტები საგამომგონებლო ამოცანათა ამოხსნის თეორიასა და პრაქტიკაში.

2. თავის საქმიანობას ფირმა წარმართავს თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საქართველოს სსრ კანონებისა და ამ დებულების საფუძველზე.

3. ფირმა არის იურიდიული პირი, აქვს ანგარიშები სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა და შტამპი თავისი სახელწოდებით.

4. ფირმას უფლება აქვს დამოუკიდებლად მოახდინოს საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფირმას უფლება აქვს შექმნას თავისი წარმომადგენლობანი და ფილიალები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ფირმის წარმომადგენლობებს არა აქვთ იურიდიული სტატუსი და მოქმედებენ მხოლოდ ფირმის სახელით.

II. ფირმის მიზანი და მუშაობის ფორმები

6. ფირმის მიზანია პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე დაეხმაროს დამკვეთს ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში, შეუსრულოს მას ახალ ნაკეთობათა შექმნის დაკვეთები, განახორციელოს საგანმანათლებლო მოღვაწეობა; გააგზავნოს სასწავლებლად და გამოცდილების მისაღებად სპეციალისტები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებში.

7. ფირმის საქმიანობა ეფუძნება მხოლოდ ორმხრივ ხელშეკრულების პრინციპებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ფირმის უფლება-მოვალეობანი

8. ფირმას უფლება აქვს:

ა) წარმომადგენლობდეს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან ურთიერთობაში;

ბ) განახორციელოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა სახის საქმიანობა.

9. ფირმა მოვალეა:

ა. განახორციელოს დებულებით გათვალისწინებული მიზანი და ამოცანები;

ბ. იმოქმედოს საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე;

გ. დაიცვას ფირმის წარმომადგენელთა და თანამშრომელთა ინტერესები:

ფირმის თანამშრომლების მიღება და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხდება მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულების ან სამუშაო კონტრაქტის საფუძველზე;

ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

პირობის ცალმხრივი დარღვევა მატერიალურ პასუხისმგებლობას აკისრებს დამრღვევს მოქმედი კანონების საფუძველზე ან კონტრაქტში გათვალისწინებული სხვა პრინციპებით.

IV. ფირმის მმართველობა

10. ფირმის საქმიანობას მართავს მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც ირჩევს ფირმის დირექტორს.

საბჭო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებანი დებულებაში.

V. ფირმის სახსრები და ქონება

11. ფირმის სახსრების წყაროებია:

ა. ანაზღაურება შესრულებული დაკვეთის სახით;

ბ. შემოსავლები ფირმასთან არსებული საწარმოო ერთეულთა საქმიანობისაგან.

12. ფირმის სახსრები გამოიყენება საწარმოო ბაზის გასაძლიერებლად, მათ შორის ფირმის წევრთა და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტთა ხელფასების ასანაზღაურებლად.

VI. ფირმის ლიკვიდაცია

13. ფირმის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არარენტაბელურობის გამო ან ფირმის დირექციის გადაწყვეტილებით.

14. ლიკვიდაციის შემთხვევაში ფირმის მოძრავ-უძრავი ქონება გადადის ფირმის თანამშრომლების კუთვნილებაში.

165 საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჟვანია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 419

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 419
დადგენილებით

საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ასოციაციის ძირითადი მიზანი და ამოცანები

1. საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაცია (შემდგომში „ასოციაცია") არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

ასოციაციის დამფუძნებელია საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა".

2. ასოციაციის მიზანი და ამოცანებია:

— გასწიოს მიწათმოქმედების მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და ამ მიზნით გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი;

— დამყაროს და ჰქონდეს მუდმივი კავშირი სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური სექტორის, კოლექტიური მებაღეობის მიწათმოქმედებთან, გაავრცელოს მოწინავე მიწათმოქმედთა გამოცდილება;

— შეისწავლოს, დააგროვოს, განაზოგადოს სტატისტიკური და ისტორიული მასალა საქართველოს, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის მოწინავე მიწათმოქმედთა შესახებ, გააცნოს იგი მიწათმოქმედებით დაინტერესებულ პირებს;

— გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება ხელისუფლების ორგანოებს რესპუბლიკაში მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაში, მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვაში, მიწათმოწყობის პროექტების ადგილზე დარერგვასა და განხორციელებაში;

— ხელი შეუწყოს მეცნიერული მიღწევების მიწათმოქმედებაში დანერგვას.

3. ასოციაციის საქმიანობა დამყარებულია დემოკრატიულობის, საჯაროობის პრინციპებზე.

4. ასოციაცია უსასყიდლოდ ეხმარება რესპუბლიკაში ახლად შექმნილ თუ აღორძინებულ სოფლებს, დასახლებებს, შეისწავლის ნიადაგურ, კლიმატურ პირობებს, შეიმუშავებს მიწათმოქმედების განვითარების წინადადებებს, საჭირო დახმარებას უწევს კოლექტიური მებაღეობის წევრებს.

5. ასოციაცია მეცნიერულ დონეზე შეისწავლის მიწაზე კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობისა და მიწის კადასტრის საკითხებს.

II. ასოციაციის სტრუქტურა

1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ კვარტალში ერთხელ.

2. საერთო კრება:

— იღებს ასოციაციის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებანი, რომლებიც მტკიცდება არსებული წესის შესაბამისად;

— ირჩევს ასოციაციის პრეზიდიუმს;

— განსაზღვრავს ასოციაციის მუშაობის მიმდინარე და პერსპექტიულ ამოცანებს;

— განსაზღვრავს ასოციაციის სახსრების ფორმირებისა და განაწილების წესებს, ასოციაციის ფონდებით სარგებლობის მიმართულებებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის საქმიანობის ძირითად საკითხებზე;

— ირჩევს საფინანსო-სარევიზიო კომისიას ასოციაციის სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისა და ასოციაციის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისათვის;

— ისმენს ასოციაციის პრეზიდიუმისა და საფინანსო-სარევიზიო კომისიის ანგარიშებს.

3. ასოციაციის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა ასოციაციის პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს ასოციაციის მუშაობას კრებებს შორის. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი, სექციის ხელმძღვანელები და წევრები — სულ 30 კაცი.

4. ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, პასუხისმგებელ მდივანსა და პრეზიდიუმს ირჩევენ საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

5. ასოციაციის პრეზიდიუმი გეგმავს და წარმართავს ასოციაციის მუშაობას, კონტროლს უწევს საერთო კრებების დადგენილებათა შესრულებას.

6. ასოციაციის სექციების ხელმძღვანელებს ირჩევენ პრეზიდიუმის სხდომაზე.

7. ასოციაციის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან ინიშნება სარედაქციო კოლეგიის წევრები, რედაქტორი და მთავარი ბუღალტერი.

8. ასოციაციის პრეზიდიუმი ყოველწლიურად მოახსენებს საერთო კრებას გაწეული მუშაობის შესახებ.

9. ასოციაციის წევრთა რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ასოციაციის წევრთა ორი მესამედის თხოვნით.

10. ასოციაცია ქმნის ორგანიზაციებს რაიონებში.

III. ასოციაციის სექციები

ასოციაციის პრეზიდიუმთან იქმნება შემდეგი სექციები:

1. საერთო;
2. იურიდიული;
3. უცხოეთთან ურთიერთობის;
4. მიწათმოქმედების;
5. მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის;
6. ეკოლოგიის;
7. კოლექტიური შეგაღეობის.

ყველა სექციას აქვს სამუშაო გეგმა, რომლის საფუძველზე ასოციაციის პრეზიდიუმი შეიმუშავებს წლიურ სამუშაო გეგმას.

IV. ასოციაციის სახსრები

1. ასოციაციის სახსრებს შეადგენს:

— ასოციაციის წევრთა შესასვლელი და საწევრო შენატანები;

— ასოციაციის სხვადასხვა საქმიანობისაგან (ლექციების წაკითხვა, სპეციალური ბიულეტენების რეალიზაცია და სხვ.) მიღებული შემოსავალი;

— საქველმოქმედო შემოწირულებანი;

შემოსულობანი დამფუძნებელ ორგანიზაციაში ამ მიზნისათვის არსებული სახსრებიდან.

2. ასოციაციის ყველა წევრი იხდის შესასვლელ შესატანს 10 მანეთს და წლიურ საწევრო შესატანს — ერთ მანეთს.

3. ასოციაციის სახსრები იხარჯება ასოციაციის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად, დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით.

4. ასოციაციის ფულადი სახსრები ინახება სახელმწიფო ბანკის სათანადო ანგარიშზე.

5. ასოციაციას უფლება აქვს დადგენილი წესის მიხედვით აიღოს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხი და დაფაროს იგი.

6. ასოციაციას უფლება აქვს ასოციაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მისცეს გრძელვადიანი სესხი ასოციაციის წევრებს, ასოციაციაში შემავალ დამხმარე საწარმოებსა და კოოპერატივებს საჭიროების მიხედვით.

7. ასოციაცია პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებებისათვის საკუთარი ქონებითა და ფულადი სახსრებით.

8. ასოციაცია ადგენს დამოუკიდებელ ბალანსს, რომელშიც აისახება მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები და ქონება;

9. ასოციაცია აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას იმ წესების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვისათვის.

10. ასოციაცია ბიუჯეტში გადასახადებს იხდის დადგენილი წესით.

11. ბიუჯეტში დადგენილი წესით გადასახდელების შეტანისა და ბანკის სესხით სარგებლობისათვის პროცენტის გადახდის შემდეგ ასოციაცია თავის განკარგულებაში დარჩენილ შამოსავალს გამოიყენებს საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის.

V. ასოციაციის იურიდიული უფლებები

1. ასოციაცია სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით, წესდებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად ასოციაციას უფლება აქვს შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, დადოს ხელშეკრულებანი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, ისარგებლოს კრედიტით, გახსნას შესაბამის საკრედიტო დაწესებულებაში ანგარიში, აღძრას სარჩელი და იყოს მოპასუხე სასამართლოში.

2. ასოციაციას უფლება აქვს საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად შექმნას დამხმარე საწარმოები, სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები, კოოპერატივები.

3. ასოციაციას აქვს ემბლემა, მრგვალი ბეჭედი და შტამპი შესაბამისი წარწერით.

4. ასოციაციის ყველა ფინანსურ დოკუმენტაციაზე აუცილებელია პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერები.

VI. ასოციაციის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით დაინტერესებული ყველა მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის წესდებას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ასოციაციის საქმიანობაში და გადაიხდის შესასვლელ და საწევრო შესატანებს.

2. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

— ჰქონდეს წევრობის დამადასტურებელი მოწმობა და სამკერდე ნიშანი;

— მონაწილეობა მიღოს ყველა ღონისძიებაში (შეხვედრა, სემინარი, პრესკონფერენცია და სხვ), ასოციაციის სახელით მივლინებულ იქნეს რაიონებსა და სოფლებში მიწათმოქმედების კულტურის საკითხებზე აგიტაციაპროპაგანდის გასაწევად;

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის ყველა არჩევით ორგანოში;

— ასოციაციის კრებებზე და პრეზიდიუმის სხდომებზე შეიტანოს წინადადებანი ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— დაესწროს ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით;

— სურვილისამებრ გავიდეს ასოციაციიდან;

— უსასყიდლოდ ისარგებლოს ასოციაციაში არსებული სპეციალური ლიტერატურით.

3. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

— შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი ასოციაციის წესდების შესაბამისად;

— დროულად შეიტანოს საწევრო შესატანი.

VII. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა

7. ასოციაციის ლიკვიდაცია ან მისი რეორგანიზაცია ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, დელეგატთა ხმების უმრავლესობით. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.

ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ასოციაციის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

166 საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 420

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 420
დადგენილებით

საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია (შემდგომში „ასოციაცია") არის თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროებთან, ექიმთა ასოციაციასთან, წითელ ჯვართან, ინვალიდთა ასოციაციასთან, ბავშვთა ფონდთან, ჯანმრთელობისა და გულმოწყალების ფონდთან და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედებით, რომელთა საქმიანობისაგან დამოკიდებულია საქართველოში მცხოვრები ჰემოფილიით დაავადებული ავადმყოფების ჯანმრთელობა, სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა.

3. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია განიხილავს დონორობის პრობლემას, როგორც ჰემოფილიის წარმატებით მკურნალობით, ისე მკურნალობის ხელისშემშლელ ფაქტორს და ატარებს მიზანდასახულ ღონისძიებებს ამ პრობლემის გადასაჭრელად.

II. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

4. ასოციაციის ამოცანაა საკუთარი ძალისხმევითა და რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით საბოლოოდ მოხსნას ჰემოფილიისა და დონორობის პრობლემა საქართველოში, გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც იწვევენ საქართველოში ჰემოფილიით დაავადებული ავადმყოფების დაინვალიდებასა და მათ ნაადრევ სიკვდილიანობას; დაეხმაროს ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფებს და მათი ოჯახის წევრებს ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სწავლასა და შრომით მოწყობაში. გადაჭრას ყველა ის პრობლემა, რომელსაც აწყდებიან ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ დაავადების გამო.

5. ამ მიზნით ასოციაცია:

— პოპულარიზაციას უწევს თავის მიზნებსა და საქმიანობას;

— მიმართავს ფართო ღონისძიებებს დონორობის წასახალისებლად;

— უწევს სამედიცინო და პროფილაქტიკურ დახმარებას ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფებს;

— შეიმუშავებს და დანერგავს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემას ავადმყოფთა ოპერატიული, კონსერვატიული და დისპანსერული მკურნალობისათვის, სრული ფიზიკური რეაბილიტაციისათვის და შრომისუნარიანობის აღსადგენად;

— უზრუნველყოფს სამკურნალო დაწესებულებებს ჰემოფილიით დაავადებულთა მკურნალობისათვის საჭირო პრეპარატებით;

— უზრუნველყოფს (საჭირო შემთხვევაში) ავადმყოფთა სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაგზავნას, უცხოეთიდან მაღალეფექტიანი ანტიჰემოფილური პრეპარატებისა და სხვა აუცილებელი მედიკამენტებისა თუ სამედიცინო მოწყობილობის შეძენას;

— იბრძვის შიდსის წინააღმდეგ;

— აშენებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ, კულტურის დაწესებულებათა კომპლექსს, სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო ბაღს ჰემოფილიით დაავადებული ბავშვებისათვის;

— ქმნის ჰემოფილურ ცენტრს, ფიზიოთერაპიულ და ბალნეოლოგიურ კაბინეტებს, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტს, სანატორიულ ცენტრებს საკურორტო ბაზებში, აშენებს საცურაო აუზს სამედიცინო ფიზკულტურული ვარჯიშების წყალში შესასრულებლად;

— უზრუნველყოფს ჰემოფილიით დაავადებული ავადმყოფებისა და მათი ოჯახის წევრების პროფესიულ სწავლებასა და შრომით მოწყობას, უწევს მათ ეკონომიურ და სამართლებრივ დახმარებას;

— ეწევა სამეურნეო-სამრეწველო და კომერციულ საქმიანობას თავისი ამოცანების შესასრულებლად.

III. ასოციაციის წევრები

6. ასოციაციის წევრები შეიძლება გახდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირები, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც ცნობენ ასოციაციის საქმიანობის მიზნებს, ამოცანებს და ნებაყოფლობით მატერიალურ, ორგანიზაციულ ან სხვა საჭირო დახმარებას უწევენ ასოციაციას მისი ამოცანების გადაწყვეტაში.

7. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

— წარმოადგინოს კანდიდატურა, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

— დააყენოს საკითხი, წარუდგინოს წინადადებანი და პროექტები ასოციაციის ნებისმიერ ორგანოს;

— მიიღოს მართვის ორგანოებიდან ნებისმიერი ინფორმაცია;

— მონაწილეობა მიიღოს მართვის იმ ორგანოს სხდომაში, სადაც იხილება მისი პირადი საკითხი;

— გავიდეს ასოციაციის წევრობიდან.

8. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

— იცავდეს ასოციაციის წესდებას და პირადად მონაწილეობდეს ასოციაციის ამოცანების განხორციელებაში;

— სისტემატურად აბარებდეს სისხლს (თუ სამედიცინო წინააღმდეგ ჩვენება არა აქვს);

— მოსთხოვოს წესდების დაცვა ასოციაციის სხვა წევრებსა და მართვის ორგანოებს;

— წინ აღუდგეს ასოციაციის ავტორიტეტის შელახვის ყოველგვარ ცდას.

9. ასოციაციის წევრის მიერ წესდების დარღვევის შემთხვევაში, ასევე საქციელისათვის, რომელიც ბღალავს ასოციაციის ღირსებას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სანქციები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში წევრობიდან გარიცხვა; ასოციაციის წევრობიდან გარიცხულს უფლება აქვს სამი თვის განმავლობაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ნებისმიერ დროს, გაასაჩივროს სასჯელი ასოციაციის საკრებულოში, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში.

10. ასოციაციის წევრები მოვალენი არიან:

— ყველგან დაიცვან თავისი წევრის კანონიერი ინტერესები;

— საჭირო დახმარება გაუწიონ როგორც საქართველოში მცხოვრებ ისე რესპუბლიკაში დროებით ჩამოსულ ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფებს მათი ასოციაციის წევრობის გარეშეც.

IV. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

11. ასოციაციის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოა საკრებულო, რომელიც მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ დირექტორატის მიერ.

12. ასოციაციის საკრებულო:

— უფლებამოსილია თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა ორი მესამედი;

— განიხილავს ასოციაციის წესდებას, პროგრამას, და ამტკიცებს მათ;

— შეაქვს ცვლილებანი, წესდებაში შეტანილი ცვლილებანი 1 თვის ვადაში რეგისტრაციისათვის წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— ისმენს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და ასოციაციის პრეზიდენტის ანგარიშს, შეფასებას აძლევს გაწეულ მუშაობას;

— განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის ხარჯთაღრიცხვებს;

— ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტსა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით ხმების უბრალო უმრავლესობით ორი წლის ვადით, ხოლო ღია კენჭისყრით სარევიზიო კომისიას;

— განიხილავს მიმდინარე პერიოდის ყველა აქტუალურ საკითხს.

13. საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს ასოციაციის პრეზიდენტი.

14. ასოციაციის პრეზიდენტი:

— ადგენს ასოციაციის მუშაობის პროგრამას, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო;

— განსაზღვრავს დირექტორატის სტრუქტურასა და შემადგენლობას, რომელსაც ამტკიცებს სარევიზიო კომისია;

— ორგანიზაციას უწევს საკრებულოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— ხელმძღვანელობს დირექტორატის მუშაობას;

— შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე საკრებულო;

— ერთი პიროვნება ასოციაციის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ სამჯერ.

15. დირექტორატი:

— არის ასოციაციის მმართველი ორგანო საკრებულოს შორის, იგი იკრიბება საჭიროებისამებრ;

— შედგება ასოციაციის სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელებისაგან.

ასოციაციის სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელებს ნიშნავს ასოციაციის პრეზიდენტი და ამტკიცებს ასოციაციის საკრებულო.

16. სარევიზიო კომისია:

— კონტროლს უწევს დირექტორატის მუშაობას, ესწრება დირექტორატის სხდომებს და ეცნობა მისი საქმიანი ქაღალდების წარმოებას;

— ამოწმებს პრეზიდენტის საფინანსო საქმიანობას;

— შეუძლია უახლოეს საკრებულოზე შეაჩეროს დირექტორატის ან პრეზიდენტის გადაწყვეტილებანი;

— შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე საკრებულო წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით;

— დააყენოს საკრებულოზე პრეზიდენტისა და მისი კაბინეტის გადაყენების საკითხი.

სარევიზიო კომისია ყალიბდება ძირითადად ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფთაგან და მათი ოჯახის წევრებისაგან.

17. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე:

აუცილებელია იყოს ჰემოფილიით დაავადებულთა წრიდან;

— იღებს გადაწყვეტილებებს კომისიის წინაშე წამოჭრილ ყველა საკითხზე;

ერთი და იგივე ადამიანი არ შეიძლება მუშაობდეს ერთდროულად დირექტორატში და სარევიზიო კომისიაში.

ასოციაციის პრეზიდენტს, დირექტორატს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას კონსულტაციებს უწევენ მრჩევლები.

V. ასოციაციის სახსრები

18. ასოციაციის სახსრები იქმნება სამეურნეო და კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების, ასევე ცალკეული მოქალაქეებისა და ორგანიზაციების შემოწირულობებისაგან.

19. ასოციაციის წევრი საწარმოები, კოოპერატივები, გაერთიანებანი და სხვა ორგანიზაციები, ბიუჯეტთან ურთიერთობას აწარმოებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

20. ასოციაციის სახსრებს განკარგავს დირექტორატი ასოციაციის ამოცანების შესასრულებლად საკრებულოს ან სარევიზიო კომისიის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

VI. ასოციაციის უფლებრივი მდგომარეობა

21. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია არის იურიდიული პირი, სარგებლობს ავტონომიის უფლებით. აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სავალუტო ანგარიში, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებანი, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში ან არბიტრაჟში.

22. ასოციაცია შეიძლება გაუქმდეს საკრებულოს გადაწყვეტილებით. ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გაანაწილებს საკრებულოს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

23. ასოციაციის ცენტრალური ორგანოს ადგილსამყოფელია საქართველოს სსრ, ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

167 საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სსრ ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარსისის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 421

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 421
დადგენილებით

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარსისის“ (სათნოების ორდენი, საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება)

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარსისი“ (შემდგომში „ასოციაცია“) არის თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი საქველმოქმედო ორგანიზაცია.

2. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რელიგიურ ინსტიტუტებთან, წარმოებებთან, სასწავლო-აღმზრდელობით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში. იგი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესდების შესაბამისად.

3. ასოციაცია არის იურიდიული პირი, აქვს საანგარიშსწორებო და სხვა (მათ შორის სავალუტო) ანგარიშები ბანკში და სხვა რეკვიზიტები (ბეჭედი, შტამპი და ა. შ.).

4. ასოციაციას აქვს თავისი დევიზი, ემბლემა, ალამი, სამკერდე ნიშანი, სამკლაური, სათნოების ორდენის სამოსი.

II. ასოციაციის მიზნები

1. ამკვიდრებს ჰუმანიტარულ მოძრაობას: „კვირაში ერთი დღე მოყვასს“.

2. ხელს უწყობს საზოგადოებრიობისა და, პირველ რიგში, ასოციაციის წევრთა სულიერებისაკენ ლტოლვას:

ა) რწმენისაკენ შემობრუნების აუცილებლობის პროპაგანდით ცდილობს მზარდი აგრესიულობის შენაცვლებას ქრისტიანული შემწყნარებლობით;

ბ) ეძიებს კონტაქტის ფორმებს საზოგადოებისაგან გარიყულ ან მისგან განმარტოებულ ადამიანებთან (ნარკომანები, ალკოჰოლის მოყვარულნი, არამდგრადი ზნეობის მქონენი და სხვა);

გ) ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას ინვალიდთა, მარტოხელა ადამიანთა, აგრეთვე ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა დაოჯახებას;

დ) ასოციაციის წევრთა და აქტივისტთა უშუალო მონაწილეობით შესაძლო მორალურ, მატერიალურ, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის დახმარებას უწევს უკიდურესად გაჭირვებულ ინვალიდებს, მარტოხელებს, ხანდაზმულებს;

ე) შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით აწყობს საქველმოქმედო აქციებს საპატიმროებში, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იცავს პატიმართა უფლებებს. ზრუნავს სასჯელმოხდილთა სოციალური რეაბილიტაციისათვის, იბრძვის არასრულწლოვან დამნაშავეთა, აგრეთვე ქალების, რო-

მელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, თავდების უფლებისათვის და ქმნის პირობებს მათი შრომითი დასაქმებისათვის.

3. აფუძნებს სათნოების სახლს, რომელიც შეასრულებს მაკოორდინირებელ როლს მიუსაფართა და მათ პოტენციურ დამხმარეთა შორის, იტვირთებს სასოწარკვეთილ ადამიანთა თავშესაფრის ფუნქციას, სადაც უფასო საკვებს მიიღებენ უქონელნი, იმუშავებს ნდობის ტელეფონი, იმორიგეგებს ექიმი და ფსიქოლოგია და ა. შ.

4. ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსი) გავრცელების წინააღმდეგ საქართველოში:

ა) ფართო პროპაგანდას უწევს ცოლ-ქმრული თანაცხოვრების კულტურას;

ბ) საზოგადოებრიობის ფართო ფენებში შიდსით გამოწვეულ შიშსა და სასოწარკვეთილებას, აგრეთვე პრობლემის იგნორირების ტენდენციას უპირისპირებს ფართო საინფორმაციო, პროპაგანდისტულ და სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას;

გ) ზრუნავს ახალგაზრდებში სწორი სექსუალური ორიენტაციის ფორმირებისათვის სათანადო სამსახურების სპეციალისტთა მეშვეობით;

დ) ცდილობს შეასრულოს დამაკავშირებელი ხიდის როლი საზოგადოებასა და რისკის ჯგუფის წარმომადგენლებს შორის;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს ნარკოტიკების გამავრცელებლებს, ამასთან, ზრუნავს ნარკოლოგიური სამსახურის ჰუმანიზაციისათვის;

ვ) ატარებს ღონისძიებებს მოსახლეობის ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტებითა და ჰიგიენური საშუალებებით მომარაგებისათვის.

5. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ასოციაცია:

ა) თავის რიგებში იზიდავს საზოგადოების ფართო ფენებს, რელიგიურ, სამედიცინო და შემოქმედებით ორგანიზაციებს, სასწავლო-აღმზრდელობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში ქმნის ასოციაციის პირველად რაიონულ (საქალაქო) და რეგიონალურ ორგანიზაციებს.

პირველადი ორგანიზაციების სტრუქტურას, უფლებრივ მდგომარეობასა და ასოციაციასთან ურთიერთობის წესს განსაზღვრავს ასოციაციის სათათბირო;

გ) დადგენილი წესის შესაბამისად ეწევა საგამომცემლო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს სარეკლამო მასალებსა და მასობრივი ინფორმაციის პერიოდულ ორგანოს;

დ) თავისი საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქმნის დამხმარე მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებს და რეალიზაციას უწევს წარმოებულ პროდუქციას;

ე) აწყობს საქველმოქმედო ღონისძიებებს;

ვ) კანონით დადგენილი წესით ამყარებს კავშირურთიერთობას რესპუბლიკისა და უცხოეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ (პირველყოვლისა, მონათესავე პროფილის) ორგანიზაციებთან.

III. ასოციაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს რესპუბლიკის ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც აქვს ლტოლვა სულიერებისაკენ, ეთანხმება ასოციაციის წესდებას, ჩაბმულია მისი რომელიმე ორგანიზაციის მუშაობაში და იხდის ყოველწლიურ საწევრო შესატანს.

2. პიროვნება, რომელიც ერთიანდება სათნოების ორდენში ან საქართველოში შიდსის გავცრელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობით საზოგადოებაში, ითვლება ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარსისის“ წევრად.

3. ასოციაციაში კოლექტიური გაწევრიანება შეუძლიათ საზოგადოებებს, წარმოებებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, კოოპერატივებს.

4. ასოციაციიდან გასვლა თავისუფალია.

5. ასოციაციის წევრი ვალდებულია: მონაწილეობდეს ასოციაციის მიზნების განხორციელებაში, იყოს ჰუმანიზმისა და ურთიერთშემწყნარებლობის პროპაგანდისტი.

6. ასოციაციაში გაერთიანებული ორივე ორგანიზაციისათვის საწევრო წიგნაკების ერთიან ფორმას განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის სათათბირო.

7. ასოციაციის წევრთა გარიცხვა ორგანიზაციიდან დაუშვებელია. ამასთან, ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, ინფორმაცია ასოციაციის იმ წევრთა შესახებ, რომელთა პრაქტიკული საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს ან სახელს უტეხს ასოციაციას, გამოიტანოს ასოციაციის ან ფართო საზოგადოების სამსჯავროზე.

IV. ასოციაციის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. ასოციაცია აერთიანებს ორ ორგანიზაციას: სათნოების ორდენსა და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობით საზოგადოებას.

2. ასოციაციის ქვედანაყოფების შექმნის წესს, სტრუქტურასა და მუშაობის პირობებს განსაზღვრავს ასოციაციის სათათბირო.

3. ასოციაციის მუშაობის უმთავრესი მიმართულების განსაზღვრისათვის იქმნება ასოციაციის სათათბირო, რომლის შემადგენლობა ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს ასოციაციის პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს. პრეზიდიუმის წევრები ავტომატურად შედიან სათათბიროს შემადგენლობაში, სადაც შეიძლება შეყვანილ იქნენ სხვა ორგანიზაციათა, გაერთიანებათა, ასოციაციათა წარმომადგენლებიც.

4. ასოციაციის მთელ მუშაობას წარმართავს ასოციაციის პრეზიდიუმი, ხოლო მის სხდომებს შორის პერიოდში — ასოციაციის პრეზიდენტი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ცვლის ვიცე-პრეზიდენტი.

5. ასოციაციის სათათბიროს, პრეზიდიუმის, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები ხდება ასოციაციის კონფერენციაზე ღია კენჭისყრით.

6. ასოციაციის სათათბიროს მოწვევა ხდება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ. ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომები იმართება სისტემატურად.

7. სათათბიროს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს ასოციაციის პრეზიდენტს და მოიწვიოს რიგგარეშე კონფერენცია საკითხის გადასაწყვეტად. სათათბირო უფლებამოსილია ასოციაციის პრეზიდიუმის პერსონალურ შემადგენლობაში შეიტანოს ცვლილებანი, გადაირჩიოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

8. ასოციაციის კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი. გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

V. ასოციაციის კონფერენცია

1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელსაც სათათბირო იწვევს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ.

2. ასოციაციის კონფერენციის წარმომადგენლობის ნორმასა და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს ასოციაციის სათათბირო.

3. კონფერენცია უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს ასოციაციის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება და ანგარიში, განისაზღვროს მათი მორიგი ამოცანები;

ბ) შეიტანოს ცვლილებანი ასოციაციის წესდებაში;

გ) აირჩიოს ასოციაციის პრეზიდიუმი, სათათბირო, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და სარევიზიო კომისია.

დ) გამოაცხადოს ასოციაცია ლიკვიდირებულად.

4. ასოციაციის პრეზიდიუმი, სათათბირო, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ირჩევა 3 წლის ვადით.

VI. ასოციაციის პრეზიდიუმი

1. ხელმძღვანელობს ასოციაციის მუშაობას კონფერენციებს შორს პერიოდში.

2. შეიმუშავებს ასოციაციის საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს. სამუშაოდ იწვევს და ათავისუფლებს მუშაკებს, განსაზღვრავს ასოციაციის ბიუჯეტს და თვალყურს ადევნებს მის შესრულებას.

3. იხილავს და ამტკიცებს ასოციაციის გამგებლობაში არსებული საწარმოებისა და მეურნეობათა ანგარიშებსა და ხარჯთაღრიცხვებს.

4. ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს.

5. ქმნის საპრემიო ფონდს ასოციაციის შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტების დასაჯილდოებლად, აგრეთვე — მატერიალური დახმარების ფონდს საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს ადგენს სათათბირო.

6. ამტკიცებს ასოციაციის კრებსით ბიუჯეტს, საბუღალტრო ანგარიშგებებს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბალანსს, კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, განსაზღვრავს ფულადი შემოსავლის გამოყენების წესს.

7. განაგებს ასოციაციის საქმეებს, ქონებასა და სახსრებს და ახორციელებს ასოციაციის, როგორც იურიდიული პირის უფლებებს.

8. ამტკიცებს სათნოების ორდენის წინამძღოლსა და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს.

9. ასოციაციის პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ასოციაციის კონფერენცია. პრეზიდიუმის შემადგენლობაში ავტომატურად შედიან ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სათნოების ორდენის წინამძღოლი და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

10. ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში ასოციაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს ასოციაციის პრეზიდენტი, მისი არყოფნის დროს — ვიცე-პრეზიდენტი.

11. ასოციაციის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვთ გამოვიდნენ ასოციაციის პრეზიდიუმისა და სათათბიროს სახელით.

VII. ასოციაციის სარევიზიო სამსახური

1. ასოციაციის საფინანსო დოკუმენტაციას აწარმოებს ასოციაციის ბუღალტერია, რომელსაც ხელმძღვანელობს ასოციაციის მთავარი ბუღალტერი.

2. ასოციაციის საფინანსო სამსახურის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია და ანგარიშს წარუდგენს ასოციაციის კონფერენციას.

VIII. ასოციაციის დამხმარე მეურნეობანი და საწარმოები

1. ასოციაციას თავისი საქმიანობისათვის სახსრების გამოსაძებნად საქართველოს ტერიტორიაზე უფლება აქვს შექმნას დამხმარე მეურნეობანი, საწარმოები, მათ შორის ერთობლივი საწარმოები და სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები. დასახელებული ორგანიზაციები იქმნება საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით.

2. ასოციაციის დამხმარე მეურნეობათა და საწარმოთა შენობანი და მატერიალური ფასეულობანი ასოციაციის საკუთრებაა.

IX. ასოციაციის ფულადი სახსრები

1. ასოციაციის ფულადი სახსრებია:

ა) ასოციაციის წევრთა საწევრო ანარიცხები;

ბ) დამხმარე მეურნეობათა და საწარმოთა შემოსავალი;

გ) სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი;

დ) საქველმოქმედო ღონისძიებათა შემოსავალი;

ე) ნებაყოფლობითი შემოწირულობანი და სხვა შემოსავალი.

2. ასოციაცია საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კონტაქტების შედეგად მოპოვებული სავალუტო ფონდების შექმნას, განაწილებასა და გამოყენებას განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარსისის“ წევრთა შესასვლელი თანხის რაოდენობა ერთი მანეთია, ხოლო ყოველწლიური საწევრო შესატანი სამი მანეთი.

4. ასოციაციის მთელი სახსრები ხმარდება ასოციაციის მიზნების შესრულებას.

X. ასოციაციის ლიკვიდაციის წესი

ასოციაცია წყვეტს თავის არსებობას:

ა) ასოციაციის კონფერენციის გადაწყვეტილებით, თუ ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერს კონფერენციის დელეგატთა ორი მესამედი.

ბ) ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს ნოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

168 სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 422

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 422
დადგენილებით

სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაცია (შემდგომში „ასოციაცია") არის ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია, საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, დაიცვას მეზღვაურთა ინტერესები და უფლებები.

ასოციაციის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობა, დემოკრატიული და კოლეგიალობის პრინციპები, წევრთა ფართო ინიციატივა, მათი პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

2. ასოციაცია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე. წესდების ცვლილების შესახებ ასოციაცია აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს. აქვს მრგვალი ბეჭედი, დამღა, დროშა და ბლანკი ემბლემის გამოსახულებით, აქვს ბანკში ფულადი ანგარიში (საბჭოთა მანეთებისა და უცხოური ვალუტის სახით).

4. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი.

II. ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ფორმები

1. ასოციაციის მიზანია:

ა. ფართო მონაწილეობა საქართველოს სუვერენულ უფლებათა რეალიზაციაში;

ბ. მეზღვაურთა და მეთევზეთა უფლებების დაცვა, პროფესიის პრესტიჟის ამაღლება, მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება;

გ. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის რეალიზება ყველა სავაჭრო, თევზსაჭერ, სანავსადგურო და ტექნიკური ფლოტის გემებზე. (ასოციაციის საქმისწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დასაშვებია, საჭიროების შემთხვევაში, რუსული და ინგლისური ენების გამოყენებაც);

დ. ასოციაცია თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, რესპუბლიკაში შექმნილ სხვა პროფესიულ ასოციაციებთან, კავშირებთან და ამყარებს კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნების მეზღვაურთა ასოციაციებთან, კავშირებთან, გაერთიანებებთან, აგრეთვე პროფესიულ ორგანიზაციებთან;

2. ასოციაციას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით ჩაატაროს სხვადასხვა სახის მშვიდობიანი საპროტესტო აქციები;

4. ასოციაცია თავისი წევრების მუშაობის გასააქტიურებლად ახორციელებს წამახალისებელ და საქველმოქმედო ღონისძიებებს, აწესებს სახელობით სტიპენდიებს საზღვაო სასწავლებლების წარჩინებული სტუდენტებისათვის, შეაქვს სახელმწიფო დაწესებულებებში წინადადებები ასოციაციის წევრთა წარსადგენად პრემიებზე, ჯილდოებსა და საპატიო წოდებებზე;

5. ასოციაცია კანონით დადგენილი წესით ეწევა საგამომცემლო საქმიანობას: აქვს თავისი გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი;

6. ასოციაცია ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას, შეიძლება ჰქონდეს კანონით ნებადართული დამხმარე მეურნეობები, გადამმუშავებელი საწარმოები, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის კოოპერატივები, სავაჭრო ქსელი, შეიძლება იჯარით აიღოს საწარმოები და სანაოსნო ერთეულები;

7. ასოციაცია ქმნის ფულად (საბჭოთა მანეთებისა და უცხოური ვალუტის) ფონდს.

III. ასოციაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაცია შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

2. ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე განურჩევლად დაკავებული თანამდებობისა, განათლების ცენზისა, პროფესიისა, ეროვნებისა, პარტიულობისა, სარწმუნოებისა და სქესისა, რომელნიც დასაქმებულნი არიან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ სანავსადგურო, დამხმარე და ტექნიკური ფლოტის, მეთევზეთა კოლმეურნეობების ,სხვა სანაოსნო ერთეულებსა და სისტემებში საქართველოს ტერიტორიაზე.

წევრებად ასევე მიიღებიან საქართველოს მკვიდრნი, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ საზღვაო სისტემებში.

წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ აგრეთვე საზღვაო სასწავლებლების როგორც მასწავლებლები, ისე სტუდენტები.

3. ინდივიდუალურ წევრებად მიღება წარმოებს ასოციაციის პირველადი ორგანიზაციის მიერ პირადი განცხადების საფუძველზე.

4. ასოციაციის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ ის ასოციაციები, მეზღვაურთა და მეთევზეთა კავშირები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ასოციაციის საქმიანობასთან, ან ამჟღავნებენ ინტერესს მისი საქმისადმი და სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

5. კოლექტიურ წევრად მიღება წარმოებს ასოციაციის გამგეობის მიერ. კოლექტიური წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

6. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ყველა არჩევით ორგანოში;

ბ) ასოციაციის ყველა ორგანოში შეიტანოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ისარგებლოს ასოციაციის სპეციალური და კულტურის ფონდებით, აგრეთვე გამგეობის გადაწყვეტილებით დაწესებული შეღავათებით;

დ) სურვილისამებრ გავიდეს ასოციაციიდან.

7. ასოციაციის წევრი:

ა) აქტიურად მონაწილეობს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) პასუხისმგებელია ასოციაციის წინაშე იმ საკითხებისათვის, რომელსაც ასოციაციის დავალებით და სახელით წყვეტს;

გ) მოვალეა განუწყვეტლივ აიმაღლოს პროფესიული მომზადების დონე, დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები, დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

8. ასოციაციის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ასოციაციიდან საკუთარი სურვილით გასვლისას განცხადების საფუძველზე;

ბ) ასოციაციიდან გარიცხვის შემთხვევაში;

გ) ასოციაციია ლიკვიდაციის შემთხვევაში.

9. ასოციაციია წევრი გაირიცხება უღირსი საქციელისათვის და წესდების დარღვევისათვის. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პირველადი ორგანიზაციის წევრთა ორმა მესამედმა, გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მისი მიღებიდან ერთი თვის მანძილზე ასოციაციის ეთიკის კომისიაში.

IV. ასოციაციის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. ასოციაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა ყრილობა (კონფერენცია). ყრილობა მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ. იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატების არა ნაკლებ ორი მესამედი.

2. ყრილობა განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის საერთო მიმართულებას, იღებს ძირითად დოკუმენტებს, ამტკიცებს წესდებას, პროგრამას და მათში შესატან ცვლილებებს, ისმენს და ამტკიცებს ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშს.

3. ყრილობებს შორის შუალედურ პერიოდში, წელიწადში ერთხელ, მოიწვევა კონფერენცია.

4. ყრილობა ირჩევს და ამტკიცებს საკონტროლო-სარევიზიო კომისიას, ეთიკის კომისიას, დარგობრივ კომისიებს.

5. ყრილობებს შორის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომლის შემადგენლობას ირჩევს ყრილობა.

6. გამგეობის წევრებს ირჩევენ ყრილობაზე ორი წლის ვადით. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობას.

7. გამგეობა ადგენს ყრილობის (კონფერენციის) დელეგატთა არჩევისა და წარმომადგენლობის წესებს;

8. გამგეობის შეკრების პერიოდულობას განსაზღვრავს თვით გამგეობა, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, თვეში ერთხელ ძაინც.

9. გამგეობა ანგარიშვალდებულია ყრილობის (კონფერენციის) წინაშე.

10. გამგეობის გადაწყვეტილებანი მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

11. გამგეობა უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა (კონფერენცია) სამი თვის ვადაში.

12. ასოციაციის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ტერიტორიული ან პროფესიული პრინციპის მიხედვით და აერთიანებს არა ნაკლებ სამ წევრს.

13. რეგიონალური ორგანიზაცია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, მას შეიძლება ჰქონდეს თავისი პროგრამა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ასოციაციის პროგრამას და მის ამოცანებს.

14. რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ამავე დროს არის ასოციაციის გამგეობის წევრი.

V. საკონტროლო-სარევიზიო კომისია

1. საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს გამგეობის წევრი.

2. კომისია უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს გაეცნოს გამგეობისა და პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას;

ბ) შეამოწმოს მათი საფინანსო საქმიანობა;

გ) დააყენოს საკითხები გამგეობის წინაშე;

დ) მოითხოვოს რიგგარეშე ყრილობის (კონფერენციის) მოწვევა.

3. კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის (კონფერენციის) წინაშე.

VI. ასოციაციის ეთიკის კომისია

1. იხილავს აპელაციებს ასოციაციაში მიღების ან გარიცხვის საკითხებზე, ასოციაციის წევრთა საჩივრებს, განცხადებებს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს ატყობინებს თავის წინადადებებსა და გადაწყვეტილებებს.

2. განიხილავს ასოციაციის წევრთა მიერ ასოციაციის წესდების მოთხოვნათა დარღვევის საქმეებს. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის წევრთა ორმა მესამედმა. კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

VII. ასოციაციის დარგობრივი კომისიები

1. ასოციაციის ძირითადი სამუშაო ორგანოა დარგობრივი კომისია.

2. დარგობრივი კომისიების დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობის საფუძველზე მსურველთა პროფესიისა და ინტერესების გათვალისწინებით.

3. ასოციაციამ შეიძლება შექმნას შემდეგი დარგობრივი კომისიები:

—სამართლებრივი საკითხებისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია;

— ეკონომიკური კომისია:

— კულტურულ-საგანმანათლებლო და საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომისია;

— ზღვაოსნობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კომისია;

— კომერციის საკითხთა კომისია;

— ეკოლოგიური და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისია:

— საფინანსო-სავალუტო კომისია:

— ქალთა კომისია (ძირითადად შედგება მეზღვაურთა ოჯახების წევრებისაგან).

განსაკუთრებულ შემთხვევაში დარგობრივი კომისიები უფლებამოსილი არიან შესაბამისი დასაბუთებით შესთავაზონ გამგეობას რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა.

4. ასოციაციაში ყრილობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სხვა კომისიებიც.

5. დარგობრივ კომისიას უფლება აქვს გამგეობასთან შეთანხმებით თავის საქმიანობაში ჩართოს გარეშე პირებიც (იურისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და სხვ.), ხელშეკრულებისა და სათანადო მატერიალური ანაზღაურების საფუძველზე.

VIII. ასოციაციის ფინანსები და ქონება

1. ასოციაციის წევრად მიღებულ პირებს შეაქვთ გაწევრიანების შესატანი და ყოველთვიური საწევრო შესატანი. შესატანების ოდენობას ადგენს ყრილობა.

პენსიონერები და სტუდენტები თავისუფლდებიან ყოველთვიური საწევრო შესატანისაგან, ხოლო მომუშავე პენსიონერები საწევროს 50 პროცენტს იხდიან.

კოლექტიურ წევრთა შესატანის ოდენობას აწესებს გამგეობა მათთან შეთანხმებით.

2. ასოციაციის ფულადი (საბჭოთა მანეთები და უცხოური ვალუტა) სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

ა) ასოციაციის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების შესასვლელი და ყოველთვიური საწევრო შესატანები;

ბ) ასოციაციის დაქვემდებარების საწარმოების, კოოპერატივებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობით მიღებული თანხები;

გ) მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოწირულებანი და სხვა შემოსავლები.

3. სახელმწიფო ბიუჯეტში კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხა გამგეობის მიერ ნაწილდება **შემდეგ ფონდებში:**

ა) სავალუტო ფონდში;
ბ) წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის ფონდში;
გ) შრომის ანაზღაურების ერთიან ფონდში;
დ) საქველმოქმედო ფონდში;
ე) სარეკვიზიო ფონდში.

4. ასოციაციის ქონება იქმნება აღნიშნული ფონდებისა და სხვა მატერიალური შემოწირულობებისა და ფინანსური სახსრების ხარჯზე.

IX. ასოციაციის ლიკვიდაცია

1. ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება ყრილობის მიერ, დელეგატთა ორი მესამედის მოთხოვნით. ასოციაცია შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც. ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი ქონება და სახსრები ყრილობის გადაწყვეტილებით გადაეცემა ბავშვთა საავადმყოფოებს, ბაგა-ბაღებს, სამშობიარო და ინვალიდთა სახლებს.

169 საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 ავგისტო, № 423

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 423
დადგენილებით

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი (შემდგომში „კავშირი") არის დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი, საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალ ჟურნალისტებს. კავშირის წევრობა შეუძლია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანს, რომელიც აღიარებს მის წესდებას, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ცხოვრობს, იზიარებს კავშირის წესდებას და აქტიურად თანამშრომლებს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

2. კავშირი მოღვაწეობს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

3. კავშირი თანამშრომლობს რესპუბლიკების, საკავშირო და სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ არსებულ ჟურნალისტთა გაერთიანებებთან.

4. კავშირის სამდივნო ქალაქ თბილისშია.

II. მიზანდასახულობანი

1. კავშირის უპირველესი ამოცანაა იზრუნოს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ეროვნული იდეალების შესხმის, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა კონსოლიდაციის, სულიერი ამაღლებისა და სიტყვის თავისუფლებისათვის.

2. კავშირი ზრუნავს თავისი წევრების სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იცავს მათ კანონიერ უფლებებს და შემოქმედების თავისუფლებას.

3. კავშირი იღვწის ჟურნალისტთა კადრების მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით:

ა. ქმნის შემოქმედებითს გაერთიანებებს, სიქციებს, კლუბებს; მართავს კონფერენციებს; აწყობს შემოქმედებითს კონკურსებს, სემინარებს, გამოფენებს, შეხვედრებს და ა. შ.

ბ. ზრუნავს ჟურნალისტთა კავშირის წევრთა სალიტერატურო ჟურნალისტური ნაწარმოებებისა და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების გამოცემისათვის, აფინანსებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად და პროფესიული დონის ასამაღლებლად გაგზავნას, აგრეთვე კავშირის წევრების საქმიან მივლინებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კავშირის წევრებს წარადგენს სახელმწიფო პრემიებზე, ჯილდოებზე და საპატიო წოდებათა მოსაპოვებლად;

დ. უქმნის თავის წევრებს საყოფაცხოვრებო და კულტურული დასვენების პირობებს, საჭიროებისამებრ მატერიალურად ეხმარება მათ.

4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწესდებო ამოცანების შესასრულებლად აარსებს გამომცემლობას, სტამბას, პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებს, ამზადებს ტელე-რადიო გადაცემებს, იღებს კინო-ვიდეოფილმებს, ქმნის ფონდს, ცალკეულ და ერთობლივ დაწესებულებებს, საწარმოებს, ფირმებს, კოოპერატივებს და ხსნის საფირმო მაღაზიებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე. საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებებს დებს საწარმო-დამამზადებლებთან.

III. წევრობა

1. კავშირის წევრები შეიძლება გახდნენ შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც იღვწიან ჟურნალისტიკის დარგში (პრესა, ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო სააგენტო, გამომცემლობა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პედაგოგ-მასწავლებლები).

2. წევრად მიღება ხდება ჟურნალისტური მოღვაწეობის სამი წლის შემდეგ, პირადი განცხადების საფუძველზე.

3. განცხადებას განიხილავს კავშირის პირველადი ორგანიზაცია და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას განმცხადებლის თანდასწრებით. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას განიხილავს კავშირის წევრად მიღების კომისია და ამტკიცებს სამდივნო.

4. კავშირში წევრად მიღებისას ყურადღება ეთმობა კანდიდატის პროფესიულ დონეს და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

5. ჟურნალისტს უფლება აქვს ერთდროულად იყოს როგორც რესპუბლიკის, ისე სსრ კავშირის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ჟურნალისტთა ორგანიზაციების წევრი.

6. კავშირის წევრი ვალდებულია იცავდეს კავშირის წესდებასა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ეწეოდეს აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

7. კავშირის წევრი ორგანიზაციიდან გასულად ითვლება:

ა. პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ. კავშირის წესდების შეუსრულებლობის ან პროფესიული ეთიკის ნორმების უხეში დარღვევისათვის.

8. პირველადი ორგანიზაცია უფლებამოსილია წესდების შეუსრულებლობისა და ჟურნალისტური ეთიკის დარღვევისათვის უნდობლობა გამოუცხადოს წევრს და დასვას კავშირიდან მისი გარიცხვის საკითხი. ეს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს პირველადი ორგანიზაციის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს კავშირის სამდივნო, გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საკითხს იხილავს კავშირის პროფესიული ეთიკის და უფლების დაცვის საბჭო.

9. კავშირის ყველა წევრს ეძლევა საწევრო ბილეთი და სამკერდე ნიშანი.

IV. მმართველობა

1. კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობის მოწვევა შეიძლება გამგეობის გადაწყვეტილებით ან კავშირის წევრთა ნახევრის მოთხოვნით.

2. ყრილობის მოწვევა კავშირის წევრებს ეცნობებათ სამი თვით ადრე, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა კი არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. ყრილობის წარმომადგენლობითს ხორმებს ადგენს კავშირის გამგეობა. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მოხაწილეობს დელეგატთა ორი მესამედი.

4. კავშირის ყრილობა:

ა. ხმების უმრავლესობით იღებს წესდებას და საჭიროებისამებრ ცვლის მას. ამტკიცებს ჟურნალისტთა კავშირის და მისი პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დებულებას;

ბ. ისმენს და ამტკიცებს კავშირის თავმჯდომარის, სამდივნოს, გამგეობის, პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს, ჟურნალისტთა კავშირის ფონდის ანგარიშებს, განსაზღვრავს კავშირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

გ. ირჩევს ფარული ან ღია კენჭისყრით კავშირის თავმჯდომარეს (ზედიზედ მხოლოდ ორჯერ აირჩევა) და მდივნებს, გამგეობას, აგოეთვე პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს.

5. ყრილობათა შორის პერიოდში კავშირის მუშაობას წარმართავს გამგეობა (პლენუმი) და სამდივნო.

6. გამგეობა:

ა. ჟურნალისტთა ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის გარდა ამტკიცებს გამგეობის სხდომებს (პლენუმებს), კავშირის სამოქმედო პროგრამას;

ბ. უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი;

გ. გადაწყვეტილებებს მიიღებს ხმათა უმრავლესობით.

7. სამდივნო:

ა. ხელმძღვანელობს კავშირის მუშაობას, განიხილავს ოპერატიულ საკითხებს.

ბ. იღვწის კავშირის წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად; განაგებს სამეურნეო საქმიანობას; ამტკიცებს ჟურნალისტთა ფონდის ხელმძღვანელობას.

გ. წარადგენს კავშირის წევრებს საპატიო ჯილდოებზე;

დ. ამტკიცებს პირველადი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს კავშირის წევრთა მიღების და გასვლის შესახებ;

ე. წესდებაში შეტანილ ცვლილებებს აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ვ. განაგებს კავშირის უძრავ-მოძრავ ქონებას.

V. პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭო

1. პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს ირჩევს კავშირის ყრილობა. მათი მთავარი მიზანია გამოიყენოს კავშირის იურიდიული სტატუსი და დაიცვას კავშირის წევრების კანონიერი უფლებები და შემოქმედებითი თავისუფლება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. საბჭო განიხილავს ჟურნალისტთა აპელაციებს, წინადადებებს, პრეტენზიებს, იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს, ამოწმებს კავშირს დაქვემდებარებული წარმოებებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას (სარევიზიო კომისიის უფლებით).

მისი სხდომები იმართება საჭიროებისამებრ.

VI. ავტონომიური ფორმირებებისა და რეგიონალური ჟურნალისტური ორგანიზაციები

1. საქართველოს ავტონომიური ფორმირებებისა (აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირი, აჭარის ჟურნალისტთა კავშირი, სამხრეთ ოსეთის ჟურნალისტთა საოლქო ორგანიზაცია) და რეგიონალური ჟურნალისტური ორგანიზაციები შესაბამის ტერიტორიებზე ეწევიან ორგანიზაციულ-შემოქმედებითს საქმიანობას კავშირის წესდების, ყრილობების, გამგეობის და სამდივნოს გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

2. მათი მოვალეობაა:

ა. უხელმძღვანელონ ჟურნალისტთა კავშირის პირველადს ორგანიზაციებს;

ბ. მეთვალყურეობა გაუწიონ საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარებას, კანონიერად ხარჯონ კავშირის მიერ გამოყოფილი სახსრები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

გ. ხელი შეუწყონ ჟურნალისტთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას.

3. ავტონომიურ ფორმირებათა ჟურნალისტური ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო რეგიონალური ორგანიზაციებისა — კრება (კონფერენცია) და ბიურო (საჭიროების მიხედვით).

ყრილობის დელეგატებს ირჩევენ პირველადი ორგანიზაციების კრებებზე შესაბამისი გამგეობის მიერ დადგენილი ნორმებით, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

ავტონომიური ფომირებების ჟურნალისტთა კავშირების ყრილობები ისმენენ თავისი გამგეობის, აგრეთვე პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს ანგარიშებს, განსაზღვრავენ ჟურნალისტთა ორგანიზაციების ძირითად ამოცანებს, ირჩევენ გამგეობას, თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, მდივანსა და წევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონალური ორგანიზაციები ირჩევენ თავმჯდომარეს, ბიუროს და პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს წევრებს.

VII. პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციები

1. პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციები იქმნება კავშირის წევრთა სამუშაო ადგილის მიხედვით ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, გამომცემლობებში, საინფორმაციო სააგენტოებში, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც სულ ცოტა კავშირის 5 წევრია.

2. პირველადი ორგანიზაციები:

ა. თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კავშირის წესდებით;

ბ. კრეფენ საწევრო ანარიცხებს;

გ. კავშირის სამდივნოს წინაშე წარადგენენ კავშირის წევრობის კანდიდატურათა რეკომენდაციებს;

დ. ზრუნავენ ორგანიზაციის წევრთა შემოქმედებითი მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და მათი პროფესიული სრულყოფისათვის;

ე. გამორჩეულებს წარადგენენ პრემიებისა და ჯილდოების მისაღებად.

3. პირველადი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

4. პირველადს ორგანიზაციას ხელმძღვანელობს კრების მიერ არჩეული მდივანი, ხოლო თუ მასში ოცდაათზე მეტი წევრია — ბიურო.

პირველადი ორგანიზაციის მდივანი ვალდებულია წელიწადში ერთხელ ანგარიში ჩააბაროს საერთო კრებას.

5. პენსიაზე გასული წევრები კავშირში რჩებიან უკანასკნელი სამუშაო ადგილის პირველადს ორგანიზაციებში.

VIII. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფონდი

1. კავშირის ფონდი არის იურიდიული პირი, აქვს თავისი ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

2. ფონდის სახსრები გამოიყენება კავშირის წევრთა შემოქმედებითი და სამეურნეო საქმიანობის წახალისების, მათი სოციალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

3. ფონდის სახსრები შედგება: ჰონორარის პროცენტებისაგან (ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, გამომცემლობების ანარიცხები). საკუთარი მეურნეობების, კოოპერატივების, მაღაზიების, ფირმების, საწარმოების შემოსავლისაგან, ჟურნალისტთა საწევრო შესატანებისაგან, შემოწირულობებისაგან და სხვა.

4. ფონდი ყოველთვიურ პენსიას უნიშნავს კავშირის იმ წევრებს, რომლებიც პენსიაზე გასვლის შემდეგ არსად არ მუშაობენ და ჟურნალისტიკის სისტემაში მათი მუშაობის სტაჟი შეადგენს სულ ცოტა 25 წელს.

5. ფონდი თანამშრომლობს სსრ კავშირის და მსოფლიოს ანალოგიურ და სხვა ორგანიზაციებთან პარიტეტულ საფუძველზე.

6. ჟურნალისტთა კავშირის ფონდის ფინანსურ და ორგანიზაციულ მუშაობას წარმართავს კავშირის სამდივნო.

IX. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახსრები

1. კავშირის სახსრებს შეადგენს: გაწევრიანებისა და საწევრო შესატანები, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფონდის სახსრები, საგამომცემლო და სამეურნეო საქმიანობით შემოსული თანხები, კავშირის წევრთა პუბლიკაციების ჰონორარის პროცენტი, ფასიანი ღონისძიებების (შეხვედრები, კონცერტები და სხვა) შემოსავალი, ორგანიზაციათა და კერძო პირთა შემოწირულობანი.

2. კავშირის წევრების შესატანები შეადგენს:

ა. გაწევრიანებისა — 5 მანეთს;

ბ. წლიური საწევრო შესატანებისა — 10 მანეთს;

გ. უმუშევარი პენსიონერებისათვის — 3 მანეთს წელიწადში;

3. კავშირი, როგორც იურიდიული პირი, უფლებამოსილია თავისუფლად გამოიყენოს საკუთარი სახსრები თავისი საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად.

4. კავშირს შეუძლია დადგენილი წესით გამოუშვას და შეიძინოს აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, გაათამაშოს ფულისა და ნივთების ლატარია.

5. კავშირი მოქმედი კანონმდებლობის შესაქმნელად ქმნის, ანაწილებს და ხარჯავს მოპოვებულ სავალუტო სახსრებს.

6. კავშირი სახსრებს გამოიყენებს:

ა. მშენებლობის დასაფინანსებლად (საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელი და შემოქმედებითი ბაზები, სამკურნალო დაწესებულებები და სხვა);

ბ. საწარმოო და კოოპერაციული საქმიანობის გასაფართოებლად მოგების მისაღებად;

გ. შემოქმედებითი კონკურსების მოსაწყობად და ყოველწლიური პრემიებისათვის;

დ. დროებით შრომისუნარდაკარგულ, სამკურნალოდ მყოფ ან მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ჟურნალისტთა ან მათი ოჯახის წევრების დასახმარებლად.

ე. კავშირის აპარატის შენახვისა და შენობების ექსპლუატაციისათვის;

ვ. სხვა საჭირო საქმიანობისათვის (დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გაუმჯობესება, საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელება, კავშირის სახელობითი სტიპენდიების დანიშვნა და ა. შ.).

7. ყველა ფინანსური ოპერაცია ეკისრება კავშირის ფონდის საბუღალტრო დარგის მუშაკს, რომელიც ფონდის დირექტორთან ერთად პასუხისმგებელია ამ საქმიანობისათვის.

8. კავშირი ფლობს უძრავ და მოძრავ ქონებას.

X. იურიდიული სტატუსი

1. კავშირი იურიდიული პირია, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი, ანგარიში, მათ შორის სავალუტოც, საბანკო დაწესებულებებში.

XI. ჟურნალისტთა კავშირის გაუქმება

1. კავშირს აუქმებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ყრილობა დელეგატთა ხმების 4/5-ის გადაწყვეტილებით, კავშირის საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაშიც.

2. კავშირის გაუქმების შემთხვევაში მისი სახსრები და ქონება სალიკვიდაციო კომისიას გადაეცემა, რომელიც გაანაწილებს მას ყრილობის მიერ დადგენილი წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170 საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 424

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 424
დადგენილებით

საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოება (შემდგომში „საზოგადოება") არის საზოგადოებრივი სამეცნიერო ორგანიზაცია. იგი ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებს, რომლებიც იზიარებენ საზოგადოების მიზნებს და წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. საზოგადოება არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებასთან და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. თავის საქმიანობას საზოგადოება წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

3. საზოგადოება აწარმოებს სამეცნიერო, საკოორდინაციო, სამეცნიერო-მეთოდურ, სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საკონტროლო-ეკოლოგიურ მუშაობას სპელეოლოგიის, სპელეისტიკისა და კარსტოლოგიის დარგებში საქართველოს უნიკალური ეროვნული საკუთრების — ბუნებრივი მღვიმეების, ხელოვნური გამოქვაბულებისა და კარსტული არეების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

4. საზოგადოება თავის მუშაობაში ემყარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სხვა საუწყებო, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითსა და პრაქტიკულ საქმიანობას სპელეოლოგიისა და სპელეისტიკის დარგებში, კარსტული არეების შესწავლისა და გამოყენების საქმეში.

5. საზოგადოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. საზოგადოების ძირითადი მიზნები, ამოცანები და მოვალეობანი

საზოგადოება მოწოდებულია ყოველნაირად შეუწყოს ხელი საქართველოში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების, სხვა ორგანიზაციების სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას სპელეოლოგიის, სპელეისტიკისა და კარსტოლოგიის დარგებში, გაუწიოს მათ მუდმივი კოორდინაცია მღვიმეთა და გამოქვაბულთა აღრიცხვის, შესწავლისა და დაცვის, სპელეოეკოლოგიის საკითხებში, ფართოდ გაშალოს ეროვნული სპელეოლოგიური მოძრაობა და განამტკიცოს მისი მეცნიერული საფუძვლები.

ამ ამოცანათა შესასრულებლად საზოგადოება კანონით დადგენილი წესით:

1. ავლენს საქართველოს ტერიტორიაზე მღვიმეებსა და გამოქვაბულებს.

2. იხილავს საკითხებს და ამუშავებს რეკომენდაციებს, დაკავშირებულს სპელეოლოგიური, სპელეისტიკური და კარსტოლოგიური ობიექტების დაცვასთან, შესწავლასა და მათ გამოყენებასთან სახალხო მეურნეობის მიზნებისათვის.

3. ამზადებს მთავრობის დადგენილებათა პროექტებს მღვიმეთა და გამოქვაბულთა რაციონალური გამოყენების, დაცვისა და აღდგენისათვის.

4. ატარებს საზოგადოებრივ ეკოლოგიურ ექსპერტიზას მღვიმეებისა და კარსტული რეგიონების, ხელოვნურ გამოქვაბულთა მდგომარეობის თვალსაზრისით. განსაზღვრავს და სათანადო ორგანოში დასამტკიცებლად წარადგენს მღვიმეთა და გამოქვაბულთა დაცვის სახეებს, იმ მღვიმეების, გამოქვაბულებისა და კარსტული არეების ნუსხას, რომელთა მიმართ დადგენილია სრული ნაკრძალის რეჟიმი, ნაკრძალის რეჟიმი ან დაცვის რეჟიმი.

5. მღვიმეთა დაცვის მიზნით კოორდინაციას და მეთოდურ დახმარებას უწევს საქართველოს კარსტულ მასივებზე და მღვიმეებში სამეცნიერო და სპორტულ-ტურისტული ექსპედიციების, კინოგადამღები ჯგუფების საქმიანობას, კეთილმოწყობილი მღვიმეების ექსპლოატაციას.

6. ამზადებს რეკომენდაციებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისათვის სპელეოლოგიურ და სპელეისტიკურ ობიექტებზე, აგრეთვე უშუალოდ მათ სიახლოვეს სამეცნიერო-კვლევითი, სპორტულ-ტურისტული, სამეურნეო-სამშენებლო და სხვა სამუშაოების და ღონისძიებების ჩასატარებლად „ღია ფურცლის“ გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. „ღია ფურცელში“ აღინიშნება სამუშაოს მიზანი და ხასიათი, ხანგრძლივობა, ბუნების დაცვისა და ადამიანთა უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია და პირები. ჩატარებული მუშაობის სრული ანგარიშის ერთი ეგზემპლარი წარედგინება საზოგადოების პრეზიდიუმს.

7. სახელშეკრულებო საწყისებზე ეწევა სპელეოლოგიისა და სპელეისტიკის საკითხების პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოს, პრესის, სამეცნიერო-პოპულარული ბროშურებისა და წიგნების გამოცემის, ლექციების, სხვა პროპაგანდისტული საშუალებებით.

8. ავლენს მნიშვნელოვან სამეცნიერო შრომებს სპელეოლოგიის, სპელეისტიკისა და კარსტოლოგიის დარგებში და იძლევა რეკომენდაციებს მათ გამოსაცემად.

9. თვალყურს ადევნებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მღვიმეებისა და უფსკრულებისათვის სახელების მინიჭებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს კორექტივები და დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის რესპუბლიკურ კომისიას.

10. სახელშეკრულებო საწყისებზე გამოსცემს საზოგადოების შრომათა კრებულს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე მეგზურებს ბუკლეტებს, რუკებს, სპელეოლოგიურ-სპელეისტიკური თემატიკის ღია ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათებს, სლაიდებს, სხვა თვალსაჩინო მასალას, სუვენირებს, სამკერდე ნიშ-ნებს და სხვ.

11. დახმარებას უწევს საზოგადოების წევრებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, წაახლისებს საუკეთესო შრომების შექმნისათვის, მღვიმეთა აღ-მოჩენისა და სხვა დამსახურებისათვის.

12. საპატიო დიპლომთი, ოქროსა და ვერცხლის მედლებით აჯილდოებს როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის გამოჩენილ სპელეოლოგებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მსოფლიო და ქართული სპე-ლეოლოგიის განვითარებაში.

III. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. საზოგადოება შედგება ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან, აგრე-თვე კოლექტიური წევრებისაგან. საზოგადოების ნამდვილ წევრებად მიიღე-ბიან მეცნიერები, პრაქტიკოსები, უმაღლესი და საშუალო სკოლის მას-წავლებლები, სტუდენტები, ყველა მსურველი, ვისაც აინტერესებს საქართ-ველოს მღვიმეთა და გამოქვაბულთა შესწავლა და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათ დაცვასა და დაცვის პროპაგანდაში.

2. საზოგადოების საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ გამო-ჩენილი საბჭოთა და უცხოელი მკვლევარები, საზოგადო მოღვაწეები, რო-მელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით სპელეოლოგიურ, სპელეისტიკურ და კარსტოლოგიურ დარგებში, ხელს უწყობენ მათ განვითარებას და სხვ. საპატიო წევრი სარგებლობს საზოგადოების წევრის ყველა უფლებით და თავისუფლდება საწევრო შესატანისაგან. საპატიო წევრებს ირჩევს საზო-გადოების სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ყრილობა.

3. საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ სამეცნიე-რო-კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო საზოგადოებები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, სამინისტროები, სხვა უწყებები, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწ-ყობენ საზოგადოების საქმიანობას, მისი ამოცანების განხორციელებას და გადაიხდიან საწევრო შესატანს.

4. საზოგადოების ნამდვილ წევრად გახდომის მსურველს შეაქვს განც-ხადება საზოგადოების ან მისი ფილიალის სამდივნოში.

5. საზოგადოების ნამდვილი წევრები და კოლექტიური წევრები იხდიან შესასვლელ და ყოველწლიურ საწევრო შესატანს, რომლის ოდენობას გან-საზღვრავს საზოგადოების პრეზიდიუმი.

საზოგადოების ყოველ წევრს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან, ამას-თან ეს წერილობით უნდა შეატყობინოს საზოგადოების ხელმძღვანელობას; ის გასულად ჩაითვლება შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 6 თვის შემდეგ.

6. საზოგადოების წევრობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების ყრილობის ან კრების გადაწყვეტილებით, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს და ამოცანებს.

7. საზოგადოების წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ იქნეს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, შეიტანოს წინადადებები და შენიშვნები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით.

IV. საზოგადოების სტრუქტურა

1. საზოგადოების შემადგენლობაში შედიან ავტონომიური ფორმირებების, აგრეთვე ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე შექმნილი ფილიალები, პირველადი ორგანიზაციები, კლუბები, სექციები.

2. საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ.

საზოგადოების ყრილობა:

— განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ამოცანებს;

— იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების წესდებას, მასში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს;

— ადგენს საზოგადოების სახსრების შექმნისა და ხარჯვის წესს;

— ირჩევს საზოგადოების პრეზიდენტს, სამეცნიერო საბჭოს და სარევიზიო კომისიას: ამტკიცებს საზოგადოების საპატიო წევრებს.

ყრილობის დადგენილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

3. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ყრილობებს შორის წარმოადგენს საზოგადოების სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგება ყრილობაზე არჩეული წევრებისა და საპატიო წევრებისაგან. სამეცნიერო საბჭო იკრიბება არა უგვიანეს ექვს თვეში ერთხელ.

საზოგადოების სამეცნიერო საბჭო:

— ირჩევს საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმს, ამტკიცებს მის სამუშაო გეგმას და წელიწადში ერთხელ მაინც ისმენს და ამტკიცებს პრეზიდიუმის საქმიანობის ანგარიშს;

— აყალიბებს ან აუქმებს საზოგადოების ფილიალებს;

— ადგენს შესასვლელი და საწევრო შესატანების ოდენობას, მისი შეტანის წესსა და ვადებს;

— საზოგადოების ყრილობას წარუდგენს პრეზიდენტისა და საპატიო წევრების კანდიდატურებს;

— უცხოელ მოქალაქეებს აძლევს რეკომენდაციებს საპატიო წევრად ასარჩევად:

— ანიჭებს საზოგადოების ჯილდოებს;

— დადგენილი წესით წარადგენს კანდიდატურებს სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საპატიო წოდების, პრემიების და სხვა ჯილდოების მოსაპოვებლად;

— წარადგენს კანდიდატურებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ან სხვა აკადემიების ნამდვილ წევრებად ან წევრ-კორესპონდენტებად ასარჩევად;

— ამტკიცებს საზოგადოების შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიას და მთავარ რედაქტორს.

4. საზოგადოების სამეცნიერო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისიები და სექციები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს საზოგადოების სამეცნიერო საბჭო.

5. საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შედგება საზოგადოების პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, სწავლული მდივნისა და პრეზიდიუმის წევრებისაგან, რომელთაც ირჩევს სამეცნიერო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია ან ფარული კენჭისყრით.

სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმი:

— ცხოვრებაში ატარებს საზოგადოების ყრილობის დადგენილებებსა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებს;

— ადგენს საზოგადოების სამუშაო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, საერთო და ფინანსურ ანგარიშებს;

— განაგებს საზოგადოების ქონებას და სახსრებს. საზოგადოების სახელით მისი ამოცანების განხორციელებისათვის დებს ხელშეკრულებებს; საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების საწესდებო მიზნებისათვის ქმნის კოოპერატივებს დადგენილი წესის მიხედვით;

— ამზადებს მასალებს სამეცნიერო საბჭოს სხდომებისათვის.

6. საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი კონტროლისათვის იქმნება სარევიზიო კომისია, არჩეული კონფერენციაზე ან ყრილობაზე. კომისია:

— თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს;

— ანგარიშით წარსდგება ყრილობის წინაშე;

— ყრილობებს შორის ყოველ შემჩნეულ ნაკლზე აცნობებს საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს და მის პრეზიდიუმს.

სარევიზიო კომისიის სხდომის მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ; კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები ან აპარატის თანამშრომლები. სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობენ სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

V. საზოგადოების სტატუსი

1. საზოგადოებას და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ენიჭებათ იურიდიული პირის ყველა უფლება, რომელსაც თავისუფლად იყენებენ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საზოგადოებას და იურიდიული უფლებების მქონე ყველა მის ორგანიზაციას აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი ემბლემითა და წარწერით „საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოება“.

3. საზოგადოება და მისი ფილიალები სარგებლობენ საკუთრების, ქონების შეძენისა და გასხვისების უფლებით, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნისა და დახურვის, ხელშეკრულებათა დადების უფლებით, კრედიტების განმკარგულებლის დანიშვნისა და მისთვის სათანადო რწმუნებათა მიცემის უფლებით და სხვ.

4. საზოგადოება დადგენილი წესით აწარმოებს უცხოეთიდან ლიტერატურის ხელსაწყოებისა და თვალსაჩინო მასალის გამოწერას.

5. საზოგადოებას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების, გაერთიანებების, კონგრესების და სხვა ღონისძიებათა მუშაობაში.

6. საზოგადოებას უფლება აქვს დადგენილი წესით კონტაქტები დაამყაროს უცხოეთის ორგანიზაციებთან, დადოს მათთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, მოაწყოს საერთაშორისო ექსპედიციები და სხვ.

7. საზოგადოების სახსრებს შეადგენენ:

— ინდივიდუალური და წევრ-კოლექტივების შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შესატანები;

— საზოგადოების სამეურნეო საქმიანობით, თუ მის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისაგან მიღებული შემოსავალი;

— ყველა დანარჩენი შემოსავალი.

VI. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

1. საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება:

— საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით, თუ მას ხმას მისცემს მონაწილეთა ორი მესამედი;

— კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

2. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში იქმნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც წარმოადგენს სალიკვიდაციო ბალანსს.

საზოგადოების ქონების რეალიზაცია ხდება საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით. ქონება, რომელიც საზოგადოებას გადაეცა სარგებლობის უფლებით, ლიკვიდაციის მომენტისათვის ითვლება იმ თანხის ანგარიშში, რაც ეკუთვნის ქონების მესაკუთრეს სახსრების საბოლოო განაწილებისას.

171 საქართველოს საქველმოქმედო ასოციაციის „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს საქველმოქმედო ასოციაციის „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 425

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 425
დადგენილებით

ბავშვთა და მოზარდთა საკეთილდღეოდ საქართველოს ეროვნული ეკონომიკური და შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციის საქველმოქმედო ასოციაციის „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს საქველმოქმედო ასოციაცია „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“ (შემდგომში ასოციაცია), არის თანამოაზრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

2. ასოციაციის ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა საკეთილდღეოდ საქართველოს ეროვნული, ეკონომიკური და შემოქმედებითი პოტენციალის გაერთიანება რესპუბლიკისათვის მომგებიანი ეკონომიკური პროექტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და ამ გზით დამატებითი მატერიალური და ფინანსური წყაროების მოპოვება და ამოქმედება მომავალი თაობების საუკეთესოდ აღზრდისა და განვითარებისათვის.

3. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, და ამ წესდების შესაბამისად, იგი მუშაობს დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ფორმირებებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად.

4. ასოციაცია არის იურიდიული პირი, აქვს განცალკევებული ქონება, საკუთარი ბეჭედი, შტამპი, ანგარიშები ბანკში (მათ შორის სავალუტო) და სხვა რეკვიზიტები.

5. ასოციაციის დამფუძნებელი ორგანიზაციებია:
— საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;
— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;
— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო;
— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო;
— საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება;
— საქართველოს მწვანეთა მოძრაობა;
— საქართველოს პედაგოგთა ასოციაცია;
— საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოება;
— საქართველოს ახალგაზრდული კავშირი;
— სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება;
— საქართველოს სახალხო ფრონტი;
— საქართველოს კულტურის ფონდი;
— საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასი“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს იურისტთა კავშირი;
— საქართველოს მენეჯერთა კავშირი;
— სიფხიზლისათვის ბრძოლის საქართველოს საზოგადოება;
— საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“;
— ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათი“;
— საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენი“;
— საქართველოს თაობათა კონსოლიდაციის ასოციაცია.

II. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

1. ეროვნული, ეკონომიკური და შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-განვითარებისათვის უპირატესი ხელშეწყობის პირობების შესაქმნელად.

2. ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელ თაობათა აღზრდაზე საყოველთაო მოქალაქეობრივი შეუნელებელი მზრუნველობის ატმოსფეროს შექმნა და მის მაღალ დონეზე შესანარჩუნებლად აქტიური საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება.

3. ბავშვთა და მოზარდთა სასიცოცხლო ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურად სუფთად შენარჩუნება და გაჯანსაღება, ბავშვთა კვების პროდუქტების შემადგენლობაში ქიმიური სასუქი ნაერთების მკვეთრი შემცირება და სრული ლიკვიდაცია.

4. რესპუბლიკის მწვავე დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში ქართველ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების გათვალისწინება და დაცვა.

5. ბავშვთა და მოზარდთა მიმართ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ჰუმანიზაცია, მოზარდთა შორის ზნეობის, დემოკრატიული მორალის გავრცელება და განმტკიცება.

6. ინვალიდი, ობოლი და ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით მშობელთა დაავადების ან სხვა მიზეზების გამო მზრუნველობას მოკლებული, ძნელად აღსაზრდელ, აგრეთვე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვთა და მოზარდთა მორალური და მატერიალური დახმარება.

7. მიმდინარე გარდაქმნების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, შესაძლო პოლიტიკურ და სოციალურ კატაკლიზმების პირობებში ბავშვთა და მოზარდთა იურიდიული, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვა, მატერიალური და მორალური დახმარება.

8. ბავშვთა და მოზარდთა საკეთილდღეოდ საყოველთაო ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის საფუძვლად მყარი მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო-სამეურნეო ბაზის შექმნა.

9. მაქსიმალურად ხელის შეწყობა ბავშვთა და მოზარდთა პრობლემებზე საზოგადოებრივი აზრის ასახვაში პრესის, ტელევიზიის, რადიოს, კინოსა და თეატრის საშუალებით.

III. ასოციაციის საქმიანობა

დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ასოციაცია დადგენილი წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

1. ეწევა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობას ბავშვთა და მოზარდთა შორის ეკოლოგიური ცოდნისა და ჩვევების დასანერგავად, ხალხური რეწვის ტრადიციების შესახარჩუნებლად, საქართველოს ბუხების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების ქომაგთა აღსაზრდელად.

2. ატარებს პროპაგანდისტულ, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მოზარდთა შორის ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, თამბაქოს წევისა და სხვა მავნე ჩვევების თავიდან აცილებისათვის.

3. ქმნის ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის, დასვენებისა და განვითარების ეკოლოგიურად სუფთა ზონებს, ხაკრძალებს რესპუბლიკის რეგიონებში, ქალაქების სამრეწველო და მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

4. ქმნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-გამაჯახსაღებელ გაერთიანებებს, სეზონურ ბანაკებს, შემოქმედებით და ტექნიკურ სტუდიებს.

5. ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს, აუქციონებს, გამოფენებს ლატარეებს, ეწევა ბავშვთა, მოზარდთა და საოჯახო ტურისტულ-გამაჯანსაღებელ მომსახურებას, ქმნის და ექსპლუატაციას უწევს საკუთარ ტურისტულ-გამაჯანსაღებელ ბაზებს.

6. მონაწილეობს მცირეკომპლექტიანი, მაღალმთიანი და ცენტრიდან დაშორებული სოფლების დაწყებითი სკოლების, ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკოლების მატერიალური ბაზის განვითარების საქმეში.

7. სახელმწიფო იურიდიული სამსახურის დახმარებით ქმნის ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების დაცვის საზოგადოებრივ-საკონსულტაციო პუნქტებს.

8. ქმნის ბავშვთა და მოზარდთა პრობლემების იდეათა ბანკს, ამ პრობლემათა გადასაჭრელად მომუშავე დროებით და მუდმივ შემოქმედებით კოლექტივებს, ატარებს სოციოლოგიურ გამოკვლევებს, შეიმუშავებს მათი აღზრდისა და განვითარების ინდივიდუალური ხასიათის მრავალვარიანტულ თანამედროვე მეთოდებსა და პროგრამებს, ახორციელებს ბავშვთა და მოზარდთა ობიექტების ბუნებასთან შერწყმულ დიზაინერულ გაფორმებითს და მწვანე განაშენიანების სამუშაოებს.

9. აწარმოებს ბავშვთა და მოზარდთა სათამაშოებს, ინვენტარს, სპორტულ მოწყობილობას, ტანსაცმელს, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებს, ფართო მოხმარების საქონელს.

10. მონაწილეობს რესპუბლიკაში ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ მრავალდარგობრივ საწარმოთა განვითარების, ორგანული სასუქების მომპოვებელი და გადამმუშავებელი უბნების შექმნის საქმეში; ქმნის საკუთარ საწარმოებს, დაწესებულებებს, მაღაზიებს, კოოპერატივებს, საკონცერტო-სანახაობით ორგანიზაციებს, კლუბებს, კაფეებს, კვების მრეწველობის პროდუქტების სარეალიზაციო ობიექტებს; ფილიალებს, კონსორციუმებს, ფირმებს;

11. მონაწილეობს რესპუბლიკის საგარეოეკონომიკურ ურთიერთობაში, ქმნის ერთობლივ საწარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესებულ ფირმებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

12. საინვესტაციო და კომერციული ბანკის სახით ქმნის ფულადი სახსრების კოლექტორს პირობითი სახელწოდებით „მომავლის ბანკი", რომლის საშუალებით ორგანიზაციას უწევს სხვადასხვა, ეკონომიკურად პერსპექტიული პროექტების აუქციონერულ დაფინანსებას.

თავისი საქველმოქმედო მიზნების განსახორციელებლად ასოციაცია ქმნის სააქციონერო საზოგადოებებს, ეწევა სამეურნეო-ეკონომიკურ და კომერციულ საქმიანობას, რომელიც პასუხობს ასოციაციის ამოცანებს.

IV. ასოციაციის წევრები

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 16 წლის ასაკს მიღწეული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ადამიანი, ვისაც კი გული შესტკივა ბავშვთა და მოზარდთა დღევანდელ და მომავალ პრობლემებზე, აქვს სურვილი და უნარი მონაწილეობა მიიღოს მათი გადაჭრის საქმეში და გაიზიარებს ასოციაციის წესდებას.

ამავე პრინციპით ასოციაციის დამფუძნებელი და კოლექტიური წევრი შეიძლება გახდნენ როგორც რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები.

V. პირველადი ორგანიზაციები და მმართველობის ორგანოები

1. ასოციაცია ქმნის პირველად ორგანიზაციებს (ფილიალებს, განყოფილებებს და სააგენტოებს) ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპით.

2. ასოციაციის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის საკონსოლიდაციო დარბაზი, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ. დარბაზის გადაწყვეტილებით ან ასოციაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნეს საკონსოლიდაციო დარბაზის საგანგებო სხდომა.

3. ასოციაციის საკონსოლიდაციო დარბაზი:

— ამტკიცებს ასოციაციის წესდებას, მის ცვლილებებს და დამატებებს;

— ამტკიცებს ასოციაციის წესდებიდან გამომდინარე შემუშავებულ დებულებას ასოციაციის საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებათა შესაბამისად;

— წყვეტს ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტისა და მისი რეორგანიზაციის საკითხებს;

— ირჩევს და ამტკიცებს ასოციაციის საკონსოლიდაციო დარბაზის საპატიო პრეზიდენტ-კოორდინატორს, ასოციაციის პრეზიდენტს, თანაპრეზიდენტს და სარევიზიო კომისიას 3 წლის ვადით, ისმენს მათ საანგარიშო მოხსენებებს, ადგენს ასოციაციის სახსრების გამოყენების წესს.

4. ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს გამგეობა. გამგეობას თანაბარი უფლებებით, კოლეგიალობისა და დემოკრატიულობის პრინციპებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობენ პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი.

5. ასოციაციის გამგეობის წევრთა კანდიდატურებს ასახელებენ პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი და ამტკიცებს დარბაზი. გამგეობის შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტი, თანაპრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, კომერციული დირექტორი, ტექნიკური დირექტორი, დირექტორ-შემსრულებელი, კონსორციუმების, ფილიალების და ფირმების დირექტორები.

6. ასოციაციის საკონსოლიდაციო დარბაზი შედგება ასოციაციის დამფუძნებელ, წევრ-ორგანიზაციათა და გამგეობის წარმომადგენელთაგან, მათ შორის პრეზიდენტი, თანაპრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი.

ასოციაციის არჩევით თანამდებობაზე ერთი პიროვნების არჩევის ჯერადობა არ იზღუდება.

7. ასოციაციის პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი:

— უზრუნველყოფენ ასოციაციის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების განხორციელებას;

— განაგებენ ასოციაციის ქონებასა და სახსრებს;

— მინდობილობის გარეშე დებენ აუცილებელ ხელშეკრულებებს და უზრუნველყოფენ მათ შესრულებას;

— იღებენ სამსახურში სახელშეკრულებო პირობებით და ანთავისუფლებენ ასოციაციის გამგეობის თანამშრომლებს და უშუალო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს;

— საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენენ ასოციაციას სახელმწიფო ორგანოებთან, ორგანიზაციებთან, წარმოებებთან და კერძო პირებთან ურთიერთობისას.

ასოციაციის პრეზიდენტი ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტებს და დირექტორებს ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით.

ასოციაციის მიერ გაცემულ თანხობრივ ვალდებულებებზე და აუცილებელ ხელშეკრულებებზე მინდობილობის გარეშე ხელის მოწერის უფლება პრეზიდენტისა და თანაპრეზიდენტის გარდა გააჩნია ვიცე-პრეზიდენტს.

VI. ასოციაციის სახსრები და ქონება

1. ასოციაციის სახსრები შედგება:

— ასოციაციის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების შენატანებისაგან;

— კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებისაგან;

— ინდივიდუალური ფულადი (მათ შორის სავალუტო) შემოწირულებისაგან;

— საფინანსო-სამეურნეო, საწარმოო, კომერციული და სააქციონერო საქმიანობიდან მიღებული სახსრებისაგან;

— მიღებული კრედიტისაგან;

— ასოციაცია და მისი საწარმოები და ორგანიზაციები ბიუჯეტთან ურთიერთობას აწარმოებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2. ასოციაციის სავალუტო ფონდის სახსრების ხარჯვა ხდება დადგენილი წესის მიხედვით.

3. ასოციაციის ფულადი და მატერიალური სახსრების ხარჯვა ხდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.

VII. ასოციაციის ანგარიშგება და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლი

1. ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ახორციელებს ასოციაციის საკონსოლიდაციო დარბაზის მიერ არჩეული სარევიზიო კომისია.

2. პრეზიდენტი ყოველწლიურად სარევიზიო კომისიასთან ერთად ამზადებს და აბარებს დარბაზს ასოციაციის საზოგადოებრივი, ფინანსურ-ეკონომიკური, საწარმოო და საქველმოქმედო საქმიანობის ამსახველ ანგარიშს.

3. ასოციაცია თავის საბუღალტრო და სხვა აღრიცხვასა და ანგარიშებს აწარმოებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

VIII. ასოციაციის წესდებაში ცვლილებათა შეტანის წესი

ასოციაციის წესდებაში დარბაზის გადაწყვეტილებით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებანი, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ამოცანებს, მოქმედ კანონმდებლობას. ასოციაციის წესდებას და მასში შეტანილ ცვლილებებს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

IX. ასოციაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პირობები

1. ასოციაციის ფუნქციონირების დრო წინასწარ არ განისაზღვრება. იგი დამოკიდებულია ასოციაციის საქმიანობის მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზე.

2. ასოციაცია კარგავს იურიდიული პირის უფლებას და წყვეტს არსებობას საკონსოლიდაციო დარბაზის გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში დარბაზის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია ანაწილებს ასოციაციის მოძრავ და უძრავ ქონებას, ფინანსურ სახსრებს დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად, დამფუძნებელ ორგანიზაციათა, კერძო პირთა და ასოციაციის მუშაკთა შორის — მათი საპაიო და ქონებრივი წვლილის მიხედვით. სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნის თარიღიდან დარბაზის საპატიო პრეზიდენტ-კოორდინატორისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებანი ბათილად ითვლება.

172 საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 426

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 426
დადგენილებით

საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაცია „შემოქმედი“ (შემდგომში „შემოქმედი“) არის ნებაყოფლობითი გაერთიანება. იგი თავის რიგებში აერთიანებს მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, აქვთ დადგენილი წესით გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი. „შემოქმედის“ წევრები შეიძლება იყვნენ კოლექტიური წევრები, საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, მეურნეობები, ფერმები, საამქროები, კოოპერატივები, კომერციული ბანკები, კომერციული ცენტრი, საფირმო მაღაზია, ერთობლივი საწარმოები, ფირმები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია „შემოქმედის“ მიზნებსა და მუშაობის ფორმებთან.

„შემოქმედის“ საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობა, დემოკრატიისა და კოლეგიალობის პრინციპები, წევრთა ფართო ინიციატივა, მათი პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

2. „შემოქმედი“ თავის ფუნქციებს ახორციელებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე, საჯაროობის პირობებში და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

3. „შემოქმედი“ არის იურიდიული პირი, წარმომადგენლობს და იცავს თავის წევრთა ინტერესებს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აქვს ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში (შეიძლება ჰქონდეს გახსნილი სხვა სახის ანგარიშებიც), ემბლემა, სასაქონლო ნიშანი, მრგვალი გერბიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

4. „შემოქმედის“ ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

II. „შემოქმედის“ მიზნები და მუშაობის ფორმები

1. „შემოქმედის“ უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს თავისი წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სამართლებრივ დაცვას, კოორდინა-

ცია გაუწიოს მათ საქმიანობას, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს თავისი წევრები საჭირო მასალითა და ინვენტარით, იზრუნოს თავისი წევრების პროფესიული დონის ამაღლებისათვის, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციისათვის როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„შემოქმედის“ წევრები თავის საქმიანობას ძირითადად წარმართავენ შემდეგი პროფილების მიხედვით:

ა) მშენებელი (კალატოზი, მომპირკეთებელი, მღებავი, ქვისმთლელი, მეთუნუქე, დურგალი და ა. შ.);

ბ) ჩამომსხმელი (თაბაშირში, ლითონში, პლასტმასში და სხვა);

გ) კერამიკოსი;

დ) ხის დამუშავების ოსტატი;

ე) მკერავი (ეროვნული ტანსაცმლის, ტანსაცმლის, თეთრეულისა და სხვ.);

ვ) მქსოველი (ტანსაცმლის, ფარდაგისა და სხვა);

ზ) ხარაზი;

თ) სოფლის მეურნეობა (პლანტაციები, მეცხოველეობა, სათბურები, და ა. შ.);

ი) ხალხური მედიცინა (მკურნალობა, კოსმეტოლოგია);

კ) სპორტული სექციები, ვიდეოსალონები;

ლ) ხალხური შემოქმედება (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა და სახალხო მთქმელები);

მ) მბეჭდავები, ქსეროაპარატურაზე მომუშავენი, ფოტოგრაფები;

ნ) ხალხური საკრავების ოსტატები;

ო) ავტომანქანების, საათების, ტელევიზორებისა და სხვადასხვა სახეობის ვიდეოაპარატურის შეკეთება.

ეს ნუსხა ამომწურავი არ არის და „შემოქმედის“ წევრმა შეიძლება განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

თავისი მიზნების შესასრულებლად „შემოქმედი“ ახორციელებს ღონისძიებებს სხვადასხვა სფეროში მომუშავე ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ პირთა და მეცნიერთა თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხელს უწყობს კავშირის განმტკიცებას მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის. „შემოქმედი“ ზრუნავს, რათა მისმა თითოეულმა წევრმა განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

2. „შემოქმედის“ უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

ა) თავის წევრთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

ბ) ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეთა პრესტიჟის ამაღლება, მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა;

გ) სამკურნალო და საკვები ღირებულების მქონე მცენარეთა ნედლეულისაგან ეკოლოგიურად სუფთა ახალი საკვები და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქციის წარმოება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობა, საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებსა და ფირმებთან ერთობლივი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის ჩათვლით, მოქმედი კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად;

ე) „შემოქმედის“ ერთიანი საცნობარო-ინფორმაციული ფონდის შექმნა უახლესი გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე.

3. „შემოქმედი“ ამყარებს კონტაქტებს მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ პირებთან და მათ გაერთიანებებთან, ეცნობა მათი საქმიანობის გამოცდილებას, ახორციელებს დელეგაციებისა და ინფორმაციის გაცვლას, აწყობს მივლინებებსა და მოგზაურობას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

4. „შემოქმედი“ ქმედითად იყენებს თავის პოტენციალს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნებათაშორისი, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების, კულტურული, ეკოლოგიური და სხვა აუცილებელი საკითხების მოსაგვარებლად.

5. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად „შემოქმედი“:

ა) თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან, საწარმოებთან, კოოპერატივებთან და ინდივიდუალურ პირებთან;

ბ) აწყობს რეგიონალურ საბითუმო ბაზრობებს, გამოფენებსა და აუქციონებს, რომლებზეც შეიძლება მოწვეულ იქნენ როგორც ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე საზღვარგარეთის წამყვანი ფირმები (ასოციაციური ან სხვა სახის გაერთიანებები) და ცალკეული ინდივიდები;

გ) აწესებს პრემიებს, ახალისებს თავის წევრებს „შემოქმედში“ აქტიური მუშაობისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევებისათვის, შეაქვს სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში წინადადებანი პრემიებზე, ჯილდოებსა და საპატიო წოდებებზე მათს წარსადგენად;

დ) ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი „ზოდიაქო“ და საინფორმაციო ბიულეტენი;

ე) პატრონობს სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებს, აყალიბებს სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს სახელშეკრულებო საწყისებზე, ახორციელებს ღონისძიებებს ასოციაციის წევრთა შეძლებისდაგვარად სათანადო ნედლეულითა და ლიტერატურით უზრუნველსაყოფად;

ზ) ახორციელებს ფართო საქველმოქმედო ღონისძიებებს, მათ შორის ნიშნავს სტიპენდიებს, მატერიალურად ეხმარება მრავალშვილიან ქართულ ოჯახებს და ა. შ.;

თ) ქმნის საქართველოს ინდივიდუალურად მომუშავეთა და სამეურნეო-სამეცნიერო საქმიანობის ასოციაციის ფონდს.

III. „შემოქმედის“ წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. „შემოქმედი“ შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

2. „შემოქმედის“ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს, ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ან სურს ასეთი საქმიანობის შესრულება, ცნობს „შემოქმედის“ წესდებას, იხდის საწევრო შესატანს და აქტიურად მონაწილეობს რეგიონალური ორგანიზაციის მუშაობაში.

3. „შემოქმედის“ კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, გაერთიანებები (ასოციაციები, ამხანაგობები, კონსორციუმები, ფირმები და ა. შ.), რომლებიც დაინტერესებული არიან „შემოქმედის“ საქმიანობის განვითარებით.

4. „შემოქმედის“ ინდივიდუალურ წევრს იღებს ასოციაციის რეგიონალური ორგანიზაცია. შემსვლელი წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა იყოს განხილული ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა რეგიონალური ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტმა.

5. „შემოქმედის“ კოლექტიურ წევრს იღებს ასოციაციის პრეზიდიუმი.

6. „შემოქმედის“ წევრებს ეძლევათ წევრობის წიგნაკი.

7. „შემოქმედის“ წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში;

ბ) ასოციაციის ყველა ორგანოში შეიტანოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებანი;

გ) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ორგანოების ფორმირებასა და არჩეულ იქნეს მათ შემადგენლობაში;

დ) ისარგებლოს ასოციაციის სპეციალური და კულტურის ფონდებით, აგრეთვე მის მიერ დაწესებული შეღავათებით;

ე) მოითხოვოს პირადი მონაწილეობა მის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საკითხის განხილვისას, ასოციაციის კომპეტენტურ ორგანოებში შეიტანოს საჩივრები და თავისი მოსაზრებანი;

ვ) წარდგენილ იქნეს ჯილდოზე ან წახალისებაზე ასოციაციაში აქტიური მუშაობისა და შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

8. „შემოქმედის“ წევრი მოვალეა:

ა) აქტიურად მონაწილეობდეს ასოციაციის რეგიონალური ორგანიზაციის ცხოვრებაში იმ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასახეს ასოციაციის ხელმძღვანელმა ორგანოებმა;

ბ) განუწყვეტლივ აიმაღლოს თავისი პროფესიული მომზადების დონე;

გ) დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები და პროფესიული ეთიკის ნორმები;

დ) დროულად გადაიხადოს შესასვლელი და ყოველწლიური (კვარტალური, თვიური) შესატანი.

9. საწესდებო მოვალეობათა დარღვევისათვის „შემოქმედის“ წევრს ასოციაციის რეგიონალური ორგანიზაციის საერთო კრებამ შეიძლება დაადოს

შემდეგი სასჯელი: გაკიცხვა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, ასოციაციის წევრობიდან გარიცხვა.

სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სუბიექტის (სამართალდამრღვევის) გადაცდომისა და ბრალის ხარისხის საგულდაგულო განსჯა.

სასჯელის მოხსნა შეუძლია მის დამდებ ორგანოს.

10. „შემოქმედის“ წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკუთარი სურვილით გასვლისას;

ბ) გარიცხვისას.

კოლექტიური წევრის გარიცხვისას მას უბრუნდება საპაიო შენატანი, ასოციაციისათვის მიყენებული ზარალის გამოკლებით.

11. „შემოქმედის“ წევრი, რომელიც სისტემატურად არ იცავს წესდების მოთხოვნებს, ჩაიდინა ასოციაციის წევრის პატივისა და ღირსების შემლახველი ანტისაზოგადოებრივი ან ამორალური გადაცდომა, ანდა უმიზეზოდ არ იხდის საწევრო შესატანს და არ ფარავს დავალიანებას, ორგანიზაციამ შეიძლება გარიცხოს ასოციაციის წევრობიდან.

გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობიდან გარიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა რეგიონალური ორგანიზაციის წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

რეგიონალური ორგანიზაციის გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში ასოციაციის შესაბამის ზემდგომ ორგანოში.

12. „შემოქმედის“ ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა დისციპლინურ საქმეებს განიხილავს პროფესიული ეთიკის კომისია. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა მისი წევრების არანაკლებ ორმა მესამედმა.

IV. „შემოქმედის“ უფლებები

1. „შემოქმედი თავის სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას სარგებლობს სრული, ყოველმხრივი სამეურნეო კომპეტენციით, უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობით, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

2. „შემოქმედს“ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უფლება აქვს:

ა) შექმნას დადგენილი წესით ახალი საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, მეურნეობები, ფერმები, საამქროები, კოოპერატივები, კომერციული ბანკი, კომერციული ცენტრი, საფირმო მაღაზია და სხვა. მას შეუძლია თავისი ფილიალები და წარმომადგენლობები გახსნას რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის უცხოეთის ქვეყნებში;

ბ) შექმნას ერთობლივი საწარმოები, მათ შორის უცხოეთის ფირმის მონაწილეობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განახორციელოს სავაჭრო-საშუამავლო და საგარეო ეკონომიკური საქმიანობა;

დ) დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, შეთანხმებები, დაადგინოს ხელშეკრულებო ფასები არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით;

ე) განახორციელოს საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები;

ვ) იჯარით აიღოს ან თვითონ გასცეს მისი კუთვნილი ქონება (შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა);

ზ) მონაწილეობა მიიღოს ან თვითონ ააშენოს საწარმოო და სოციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობანი;

თ) დამოუკიდებლად შეადგინოს თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები;

ი) შრომის ანაზღაურების არსებული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს ხელფასის და მატერიალური წახალისების ფონდის სტილი, შრომის ანაზღაურების წესი და თითოეული მუშაკის ხელფასი მათი შრომითი წვლილის გათვალისწინებით;

კ) მიიღოს სახელმწიფო შეკვეთა პროდუქციის საწარმოებლად და გაანაწილოს ასოციაციის წევრთა შორის;

ლ) დამოუკიდებლად განსაზღვროს ასოციაციის ფონდები და რეზერვების ნორმატივები და აბსოლუტური თანხა;

მ) მიიღოს ბანკიდან გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტი და თვითონ მისცეს კრედიტი სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს კომერციულ საფუძველზე;

ნ) ფინანსური და ეკონომიკური მხარდაჭერა გაუწიოს ასოციაციის წევრებს;

ო) განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ამასთან გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ საქმიანობისა და თანამშრომლობის ნებისმიერი სახე და ფორმა, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

ასეთ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი პრინციპებითა და შინაგანაწესით.

V. „შემოქმედის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობის ორგანოები

1. „შემოქმედის“ უმაღლესი ორგანოა სათათბირო, რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. იგი ირჩევს პრეზიდიუმს და სარევიზიო კომისიას ოთხი წლის ვადით, რომელთა გადარჩევა შეიძლება ვადამდე, მრჩეველთა საბჭოს მიერ. რიგგარეშე სათათბირო მოიწვევა წევრთა ერთი მესამედის ან პრეზიდიუმის მოთხოვნით.

2. „შემოქმედის“ სათათბირო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს წესდებას, პროგრამას, შეაქვს მათში ცვლილებანი და დამატებანი, რის შესახებაც რეგისტრაციისათვის აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) განიხილავს პრეზიდიუმის ანგარიშს;

გ) განიხილავს „შემოქმედის“ მორიგ ამოცანებს და მისი მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

დ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც შემოაქვთ ასოციაციის წევრებს.

3. სათათბიროს შორის პერიოდში „შემოქმედის“ საქმიანობას წარმართავს პრეზიდიუმი. იგი არის ასოციაციის აღმასრულებელი ორგანო. პრეზიდიუმის სხდომები სხვადასხვა საკითხზე ტარდება ასოციაციის სამუშაო გეგმის შესაბამისად. პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია სათათბიროს წინაშე, რომელიც აგრეთვე განსაზღვრავს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას.

4. „შემოქმედის“ პრეზიდიუმში იქმნება სექტორები:

ა) მშენებლობის (ფართო პროფილით);

ბ) სოფლის მეურნეობის (ფართო პროფილით);

გ) საყოფაცხოვრებო (ფართო პროფილით);

დ) გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური შემოქმედების, რეწვის;

ე) ინტელექტუალური შრომისა და სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემის, ინფორმატიკის, მძლავრი კომპიუტერული ბაზით;

ვ) მატერიალურ-ტექნიკური, სათანადო მანქანა-დანადგარების ბაზით;

ზ) სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ღონისძიებების ჩატარების (საორგანიზაციო), კვალიფიკაციის ამაღლების;

თ) იურიდიული, სავაჭრო ურთიერთობებისა და კონტაქტების;

ი) საგამომცემლო საქმიანობის;

კ) საკოორდინაციო საბჭო (მხატვრული, ტექნიკური და ა. შ.).

5. „შემოქმედის“ პრეზიდიუმი:

ა) განსაზღვრავს სექტორების საქმიანობის მიმართულებას, მეთოდსა და საშუალებებს;

ბ) იწვევს და ხელმძღვანელობს სათათბიროს სხდომებს;

გ) კონტროლს უწევს „შემოქმედის“ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს შემოქმედებითი ჯგუფების, კლუბებისა და ა. შ. გახსნის შესახებ;

ე) ამტკიცებს ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიას;

ვ) ქმნის საორგანიზაციო კომიტეტებს დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად;

ზ) ამუშავებს და აზუსტებს სამოქმედო გეგმებს;

თ) განიხილავს და ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას;

ი) ხელმძღვანელობს რეგიონალურ ორგანიზაციებს „შემოქმედის“ სამუშაო გეგმის შესაბამისად;

კ) ამუშავებს და ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვებს სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად;

ლ) განიხილავს შემოსულ წერილებს, წინადადებებს, საჩივრებს და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს;

მ) განიხილავს და წყვეტს „შემოქმედის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს თავის კომპეტენციის ფარგლებში.

6. „შემოქმედის“ პრეზიდენტი:

ა) ადგენს ასოციაციის მოქმედების პროგრამას, ხელმძღვანელობს სათათბიროს გადაწყვეტილებათა განხორციელებას და პრეზიდიუმის საქმიანობას;

ბ) წყვეტს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებს;

გ) დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ატარებს ფინანსურ ოპერაციებს;

დ) შეჰყავს პრეზიდიუმში ახალი წევრები კოოპტაციის წესით და პრეზიდიუმის წევრთა ნახევარზე მეტის თანხმობით;

ე) ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს) და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

ვ) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს სპეციალისტებს;

ზ) განაგებს ასოციაციის ქონებას და ფულად სახსრებს იმ ფარგლებში, რასაც დააწესებს პრეზიდიუმი.

7. „შემოქმედის“ სარევიზიო კომისია:

ა) საქმიანობას წარმართავს დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სათათბირო. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ პრეზიდიუმის წევრები;

ბ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს;

გ) ამოწმებს და აკონტროლებს ასოციაციის სტრუქტურული და ორგანიზაციული ერთეულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

დ) საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს სათათბიროს.

8. „შემოქმედის“ რეგიონალური ორგანიზაციები იქმნება ქალაქებში, სოფლებსა თუ რეგიონებში, სადაც ასოციაციაში გაერთიანების სურვილს გამოთქვამს არანაკლებ 4 კაცი.

რეგიონალურ ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეთ იურიდიული პირის უფლება. მათ წესდებას ამტკიცებს „შემოქმედის“ პრეზიდიუმი.

VI. „შემოქმედის“ მრჩეველთა საბჭო

1. მრჩეველთა საბჭოს დანიშნულებაა დაეხმაროს „შემოქმედს“ თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში.

2. საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნენ შემოქმედებითი კავშირების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენ-

ლები, სასწავლო დაწესებულებების მუშაკები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, დაწესებულებათა ხელმძღვანელები და ა. შ.

3. პრეზიდიუმი და მრჩეველთა საბჭო სამ თვეში ერთხელ (ან საჭიროების მიხედვით) იწვევენ ერთობლივ სხდომას.

4. მრჩეველთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

VII. „შემოქმედის“ ფინანსები და ქონება

1. „შემოქმედის“ წევრად მიღებული პირების ან კოლექტიური წევრების საწევრო შესატანებს (ყოველწლიური, კვარტალური, თვიური) აწესებს ასოციაციის პრეზიდიუმი მათთან შეთანხმების საფუძველზე.

2. „შემოქმედის“ ფულადი სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

ა) ასოციაციის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანები;

ბ) წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული შემოსავალი;

გ) ასოციაციაში გაერთიანებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი გასანაწილებელი მოგებიდან მიღებული გადარიცხვები;

დ) ბეჭდვითი საქმიანობისაგან მიღებული შემოსავალი;

ე) მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოწირულობანი.

3. „შემოქმედი“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას და ვალუტის სახსრების განახლებას აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. „შემოქმედის“ ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

VIII. „შემოქმედის“ აღრიცხვა და ანგარიშგება

1. „შემოქმედის“ საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა ხდება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბუთბრუნვის ორგანიზაციას აწესებს პრეზიდიუმი.

2. აღრიცხვის ოპერაციულ წლად ითვლება კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. წლის დამთავრებისთანავე დგება „შემოქმედის“ ბალანსი.

3. „შემოქმედის“ ბალანსიდან უვარგისი, მორალურად გაცვეთილი და სხვა მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

IX. „შემოქმედის“ ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. „შემოქმედის“ საქმიანობა შეიძლება შეწყდეს (ან შეიცვალოს რეორგანიზაციის შედეგად) ასოციაციის სათათბიროს გადაწყვეტილებით ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. „შემოქმედის“ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი სახსრები და ქონება სათათბიროს გადაწყვეტილებით განაწილდება მის წევრებს შორის მათი შენატანების და პირადი წვლილის გათვალისწინებით.

3. „შემოქმედის“ ლიკვიდაციასთან და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

---

173 საქართველოს ასოციაცია „ჩამომსხმელის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ასოციაცია „ჩამომსხმელის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 427

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 14 აგვისტოს № 427
დადგენილებით

საქართველოს ასოციაცია „ჩამომსხმელის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ასოციაცია „ჩამომსხმელი“ (შემდგომში — „ასოციაცია“) არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სამეცნიერო-ტექნიკური ნებაყოფლობითი ორგანიზაცია.

2. ასოციაცია მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ანგარიში ბანკში საბჭოთა მანეთებისა და უცხოური ვალუტის სახით, ბეჭედი და ემბლემა.

3. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

ასოციაცია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით. იგი ახდენს სამსხმელო წარმოების განვითარების პროგნოზირებას, არჩევს პერსპექტიულ იდეებს, წინადადებებს და ეკონომიკურად დასაბუთების შემდეგ წარადგენს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში.

II. ასოციაციის მიზანი და ამოცანები

1. ასოციაციის მიზანია გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების გზით რესპუბლიკაში სამსხმელო წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა.

2. თავისი მიზნის მისაღწევად, კანონით დადგენილი წესით, ასოციაცია:

— ეწევა სამამულო და უცხოური გამოცდილების პროპაგანდას სამსხმელო წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ყველა სფეროში; აწყობს შემოქმედებით დისკუსიებს, სემინარებს, სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, გამოფენა-კონკურსებს, უშვებს ბროშურებს და შრომებს;

— ქმნის საკონსულტაციო-ტექნიკური მომსახურების ცენტრებს, დროებით შემოქმედებით კოლექტივებს სამსხმელო წარმოების საკითხებთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესასრულებლად, უახლესი ტექნოლოგიური პროცესების ასათვისებლად, სამეურნეო ანგარიშის საწყისებსა და საწარმო-ორგანიზაციების შეკვეთების საფუძველზე;

— ქმნის დაქვემდებარებულ საწარმოებს, ბანკებს, ფონდებს, სხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლებით, აგრეთვე წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შედის ერთობლივ საწარმოებში, ასოციაციებში;

— ქმნის წარმომადგენლობებს (ბიუროებს) მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში;

— აყალიბებს კომიტეტებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს სამეცნიერო-ტექნიკური პროფილების, კვლევების შედეგებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესასწავლად, ხელს უწყობს მათ ათვისებას წარმოებაში;

— სამსხმელო წარმოებაში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მიზნით ასოციაციის წევრებს გზავნის ძიებებით. ეწევა მეცნიერულ მიღწევათა ურთიერთგაცვლას, სამსხმელო წარმოების დარგში საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი წარმოების შექმნას;

— ამყარებს კავშირს ჩამომსხმელთა ტექნიკური ასოციაციის საერთაშორისო კომიტეტთან, ჩამომსხმელთა ეროვნულ საზოგადოებებთან და სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან;

— ეხმარება რესპუბლიკაში არსებულ სამსხმელო წარმოებებს რაციონალიზაციის, გამომგზავნობისა და სალიცენზიო-საპატენტო საქმიანობის განვითარებაში;

— მონაწილეობას ღებულობს სამსხმელო დარგში საატესტატო და საკონკურსო კომისიების, საკვალიფიკაციო საბჭოების მუშაობაში, ატარებს ოფიციალურ პრემიებზე წარდგენილ საუკეთესო სამუშაოთა საზოგადოებრივ ექსპერტიზას (საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით);

— ხელს უწყობს სამსხმელო წარმოების კათედრებს სწავლების თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვაში, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემაში, სტუდენტთა სწავლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, სპეციალობაში ღრმა ცოდნის შეძენის მიზნით მონაწილეობს იმ უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების საგამოცდო კომისიებში, რომლებიც უშვებენ სამსხმელო წარმოების სპეციალისტებს;

— შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით საკუთარი სახსრებით იწვევს მაღალკვალიფიციურ უცხოელ სპეციალისტებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად, გზავნის სტუდენტებს და სპეციალისტებს საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და სამეცნიერო ცენტრებში სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აწყობს სპეციალისტთა გაცვლას სხვა ქვეყნების ჩამომსხმელთა ასოციაციებთან კავშირის გზით;

— სამსხმელო წარმოების დარგში ქართული ენის დამკვიდრების მიზნით კოორდინაციას უწევს მშობლიურ ენაზე ტექნოლოგიური ინსტრუქციებისა და სხვა სახელმძღვანელო-მეთოდური დოკუმენტაციის შედგენას და გავრცელებას;

— თანამშრომლობს პრესასთან და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან;

— იღებს ზომებს სამსხმელო წარმოების სპეციალისტთა კვალიფიკაციის, პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლების, მათი სოციალური დაცვისათვის, განიხილავს წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტების ეკონომიკური სტიმულირების საკითხებს;

— ქმნის სპეციალურ ფონდს ასოციაციის წევრთა მატერიალური დახმარებისათვის, ხელს უწყობს თავისი წევრებისა და საზოგადოების ინტერესების სრულ შეხამებას.

III. ასოციაციის უფლებები

1. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის ასოციაცია უფლებამოსილია:

— საკანონმდებლო ინიციატივის წესით დასვას საკითხები საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში;

— წარადგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ასოციაციის საწესდებო ამოცანებიდან გამომდინარე წინადადებები;

— დაასახელოს და წარადგინოს ასოციაციის წევრები არჩევით ორგანოებში მონაწილეობის მისაღებად;

— ასოციაცია შეიძლება გახდეს საკავშირო ჩამომსხმელთა ასოციაციის, ასევე საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის, საქართველოს მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების, აგრეთვე სხვა ანალოგიური ორგანიზაციების (მათ შორის საზღვარგარეთის) თანასწორუფლებიანი წევრი და მათთან ურთიერთობა განახორციელოს ხელშეკრულების საფუძველზე;

— დამოუკიდებლად გამოსცეს მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებანი, პროპაგანდისტული და სარეკლამო მასალები იმ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით, რომლებისთვისაც ეს ძირითადი საქმიანობაა.

— ასოციაციას უფლება აქვს დაამყაროს კომერციული კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან და კერძო ფირმებთან, პროდუქციის რეალიზაციის და ბარტერული ოპერაციების მიზნით მიიღოს ლიცენზია ასოციაციის და მისი კოლექტიური წევრების პროდუქციის ექსპორტისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— ასოციაცია არ აგებს პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის, ისევე, როგორც სახელმწიფო არ აგებს პასუხს ასოციაციის ვალდებულებებისათვის.

IV. ასოციაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე სამსხმელო წარმოების ინჟინერი, ტექნიკოსი, წარმოების ნოვატორი, მეცნიერი, პედაგოგი, უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, პენსიონერი, აგრეთვე დაინტერესებული პირი, რომელთაც აქვთ სამსხმელო წარმოების დარგში მუშაობის გამოცდილება, აქვთ სურვილი შეიტანონ თავიანთი წვლილი ეროვნული სამსხმელო წარმოების განვითარებაში და დაინტერესებული არიან კოლეგებთან საქმიანი და შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარებით.

2. მსურველების მიღება ასოციაციის წევრად ხდება ასოციაციის პრეზიდიუმის ან გამგეობის მიერ.

3. ასოციაციის წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება, არჩეულ იქნეს, ან აირჩიოს ასოციაციის ყველა არჩევით ორგანოში, დასვას ასოციაციის წინაშე განსახილველად სამსხმელო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და იმოქმედოს მის გადასაწყვეტად მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით.

4. ასოციაციის კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს საწარმო, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება, საწარმოო კოოპერატივი, რომლებიც მუშაობენ სამსხმელო წარმოების სფეროში.

5. ასოციაციის წევრი მოვალეა დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი, დაიცვას წესდება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მუშაობაში, შეასრულოს ასოციაციის გადაწყვეტილებანი და პრაქტიკულად შეუწყოს ხელი წარმოებაში და განათლების ქსელში პროგრესული ტექნოლოგიის დროულად რეალიზაციას.

6. ასოციაცია თავისი წევრების ინტერესებს იცავს სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა იურიდიული და კერძო პირების წინაშე.

7. ასოციაციის საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ სამსხმელო წარმოების სფეროში ცნობილი პირები, რომელნიც სარგებლობენ ხმის უფლებით.

V. ასოციაციის სტრუქტურა

1. ასოციაციის უმაღლეს ორგანოდ ითვლება ყრილობა, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ. ყრილობა ამტკიცებს ასოციაციის წესდებას ან შეაქვს ცვლილებანი მასში, განიხილავს ასოციაციის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, სწავლულ მდივანს, პრეზიდიუმს, გამგეობას, კომიტეტებს სარევიზიო კომისიას.

გამგეობის ერთი მესამედის ან ასოციაციის წევრების ერთი მეათედის ინიციატივით შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე ყრილობა.

2. ყრილობის დღის წესრიგი და რეგლამენტი მტკიცდება ხმათა უმრავლესობით, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა და გადაწყვეტილებების მიღება ხდება ღია ან ფარული კენჭისყრით. ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად. ასოციაციის წესდებაში ცვლილებათა შეტანა ხდება ყრილობის მონაწილეთა სამი მეოთხედით.

3. ყრილობათა შორის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომელიც სხდომებს მართავს წელიწადში ორჯერ ან აუცილებლობის შემთხვევაში — ერთხელ. ასევე გამგეობას შეუძლია მოიწვიოს კონფერენცია. პრეზიდიუმი იკრიბება ერთ-ორ თვეში ერთხელ, იგი განიხილავს და ამზადებს საკითხებს გამგეობისათვის.

4. ასოციაციის სტრუქტურა შემდეგია: ყრილობა, პრეზიდიუმი, გამგეობა, კომიტეტები და კომისიები.

5. ყრილობაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სათათბირო ხმის უფლებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან ასოციაციის წევრები, ასევე განსახილველი საკითხის სპეციალისტები.

6. გამგეობა თავის შემადგენლობას ავსებს, თუ რომელიმე მისი წევრი გამოვიდა შემადგენლობიდან, და ყრილობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

7. ასოციაციის კომიტეტები იქმნება სამსხმელო წარმოების მსხვილი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად. ყრილობა ასოციაციის წევრთაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს ავალებს კომიტეტების შექმნას. კომიტეტის წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და სწავლულ მდივანს ხუთი წლის ვადით.

8. კომიტეტები თავიანთ საქმიანობას ძირითადად წარმართავენ შემდეგი მიმართულებით: კომიტეტის თემატიკაში შემავალი საკითხების ანალიზი, მათი კრიტიკული შეფასება, კვლევის ამოცანების დასახვა, მათი პრაქტიკული რეალიზაცია, სარეკომენდაციო დოკუმენტებისა და მასალების დამუშავება და პუბლიკაცია, შრომის დაცვისა და ეკოლოგიის საკითხთა დასმა და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება, საგამომგონებლო და სალიცენზიო სამუშაოთა ხელშეკრულება.

9. კომიტეტების მოღვაწეობა ხორციელდება ასოციაციის სახსრების ხარჯზე. კომიტეტები ასოციაციის გამგეობას ყოველწლიურად აბარებენ შუალედურ ანგარიშს (წერილობით) გაწეული მუშაობის შესახებ, ხოლო სრულ ანგარიშს აბარებენ ყრილობას.

10. კომისიები შეიქმნება ასოციაციის წევრებისაგან და მოწვეული ვიწრო პროფილის სპეციალისტებისაგან, კომისიების ფუნქციები კომიტეტების ფუნქციების ანალოგიურია, კომისიების შექმნა ხდება კომიტეტების თავმჯდომარეთა და წევრთა წინადადებით. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ განსაზღვრული ვადით, რომელიც საჭიროა მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. კომისიის თავმჯდომარე სამუშაო გეგმას ათანხმებს კომიტეტის თავმჯდომარესთან და ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

11. სარევიზიო კომისია:

— ამოწმებს ასოციაციის საფინანსო საქმიანობას, ასევე ასოციაციის სახსრების ხარჯვის სისწორეს;

— აკონტროლებს ყრილობის, კონფერენციის და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

VI. ასოციაციის სახსრები

1. ასოციაციის ფულადი სახსრები შედგება: ასოციაციის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების საწევრო შესატანების, გარეშე პირებისა და ორგანიზაციების შემოწირულობის, სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ასოციაცია დადგენილი წესით ხსნის ანგარიშს ბანკში და შეუძლია არსებული წესით ისარგებლოს საბანკო კრედიტებით.

3. ასოციაციის წევრთა ყოველწლიური საწევრო შესატანია 5 მანეთი, კოლექტიური წევრისა — ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4. ასოციაციის სახსრებს განაგებს გამგეობა.

5. ყოველი წლის ბოლოს დგება ასოციაციის ბალანსი.

VII. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა

1. ასოციაციის საქმიანობა მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში შეწყდება ყრილობის გადაწყვეტილებით ან კანონით დადგენილი სხვა წესით.

2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი თანხების გამოყენება მოხდება არსებული წესის შესაბამისად.

174 ქალაქ თბილისში ბულგარეთის ფირმა „კომეკსის“ წარმომადგენლობის შექმნის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკასა და ბულგარეთს შორის პარტნიორული, საფინანსო და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს ბულგარეთის ფირმა „კომეკსის“ ხელმძღვანელობისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თხოვნა და ნება დაერთოს ამ ფირმას შექმნას ქ. თბილისში თავისი წარმომადგენლობა.

2. საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოახდინოს ბულგარეთის ფირმა „კომეკსის“ წარმომადგენლობის აკრედიტაცია და შეუქმნას მას ნორმალური ფუნქციონირების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 428

175 „საქართველოს სსრ იმ მდინარეებზე, სადაც გავრცელებულია ორაგულისებრი და თართისებრი თევზი, აკრძალული ზოლების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ივნისის № 500 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოსა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის“ წინადადება და „საქართველოს სსრ იმ მდინარეებზე, სადაც გავრცელებულია ორაგულისებრი და თართისებრი თევზი, აკრძალული ზოლების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ივნისის № 500 დადგენილების მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ორაგულისებრი და თართისებრი თევზის კვლავწარმოებისათვის მნიშვნელობის მქონე მდინარეთა ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით აიკრძალოს ხე-ტყის დამზადება ძვირფასი ჯიშების თევზსაშენი ქარხნებისა და მეურნეობების გან-

ლაგების ადგილებში ნაპირიდან 3 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე მდინარეებზე: რიონი, კოდორი, ბზიფი, ჩერნაია; ძვირფასი ჯიშების ტოფობის ადგილებში 1 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე მდინარეებზე: ფსოუ, ბეგი, ფხისთა, გეგა, იუფშარა, ამტყელი, ჩხალთა, მზიმა, უშკურია, კლიჩი, გვანდრა, საკენი, ბრამბა, ვემიში, ბელაია, იგრინი, გუმისთა, აღმოსავლეთ გუმისთა, გენერიფში, ნეზონკა, კელასური, ჩხაპაჩი, ოქუმი, ოხოჯა, წარჩე, ერისწყალი, ენგური, ჩხოუში, ნაკრა, ღალიძგა მოქვა, ააფსთა, (ბაკლანოვკა), კინტრიში, მაჭახელა, ცივი, ტეხურა, აბაშა, ცხენისწყალი, ხობი, ყვირილა, დეჯორა, ლაჯანურა, ხანისწყალი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 429

176 ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნისა და მისთვის უ. ვ. ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ზესტაფონის მდიდარი თეატრალური ტრადიციების აღდგენისა და განვითარების, რეგიონში ეროვნული კულტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოსახლეობის სურვილებისა და თხოვნის გათვალისწინებით მიღებულ იქნეს საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომისა და ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და შეიქმნას ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნასთან დაკავშირებით გამოუყონ არსებული წესით ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს სათანადო შტატები, ფონდები და ფულადი სახსრები.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გაუწიონ ახლადშექმნილ თეატრალურ კოლექტივს საჭირო დახმარება კადრების მომზადებისა და კომპლექტების, ეგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხთა მოგვარებაში.

4. მიენიჭოს ზესტაფონის სახელმწიფო დრამატულ თეატრს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის უშანგი ვიქტორის ძე ჩხეიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯიოევანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 აგვისტო, № 430

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1990 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X-91 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 7,5, სააღრიცხვო თაბახი 7,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 825 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა